# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 31 აგვისტო | 1993 № 9 (56) | ფასი 70 კუპონი

3 ფეხბურთმა გაიმარჯვა! „სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი ზუგდიდიდან

5 „უილიამსი“ ჩემპიონია

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

დეიმონ ჰილი — მომავალი მეფე?

7 პირველად მსოფლიოს ჩემპიონატზე



ინტერვიუ კახი კახიაშვილთან

8 კრაბეს შარი მოსდეს

ოქროს ზოდები პარასკევს დარიგდება

# ხვალ უინძორ პარკზე

პირველად ითამაშებს საქართველოს გუნდი. ერთდროულად თერთმეტი ქართველი ფეხბურთელი გამოვა მინდორზე, რომელზეც მანამდე მხოლოდ ორ ჩვენს თანამემამულეს, მურთაზ ხურცილავასა და რევაზ ძოძუაშვილს უასპარეზია საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში. იმედია, დინამოელები, წინამორბედების მსგავსად, თავს ისახელებენ.



## ელდარ კურტანიძე — ბრინჯაოს პრიზიორი

ტორონტოში დამთავრებულ თავისუფალი ჭიდაობის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს: გადამწყვეტ ბრძოლაში ელდარ კურტანიძემ (90 კგ) ამ ჩემპიონატამდე უძლეველი მახარბეკ ხადარცევი (რუსეთი) დაამარცხა. მძიმეწონოსანი ზაზა თურმანიძე მესამე ადგილისთვის შერკინებაში დამარცხდა რუს ანდრეი შუმილინთან. რუსებმა ამ ჩემპიონატზე ერთადერთი ოქროს მედლის მოპოვება შეძლეს და ისიც — ყოფილმა ჩვენიანმა, ლერი ხაბელოვმა. გუნდურ ჩათვლაში ამერიკელებმა გაიმარჯვეს (72 ქულა; 3 „ოქრო“, 2 „ვერცხლი“). შემდეგ მოდიან: რუსეთი (52; 1 „ოქრო“, 2 „ვერცხლი“, 2 „ბრინჯაო“), თურქეთი (50), კორეა (40), კუბა (38), ირანი (35), უკრაინა (29), გერმანია (25), საქართველო და უზბეკეთი (20). ამერიკელებისა და რუსების გარდა ჩემპიონები ჰყავთ: ირანს — 2; კორეას, ბულგარეთს, კუბასა და თურქეთს — თითო. ჩემპიონატის პირველი დღის სრულ შედეგებს მეექვსე გვერდზე გაეცნობით.



## ნინოს «დუბლი»

კვლავ გვასახელა ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ. მიუნხენში გამართულ მსოფლიო თასის ეტაპზე თბილისელმა ქალმა ორ სახეობაში იასპარეზა და ორივეში გაიმარჯვა: შაბათს პნევმატური დამბაჩით სროლა მოიგო, კვირას კი — სპორტული დამბაჩით შეჯიბრი. ნინოს შედეგები შესაბამისად 487,7 და 687,5 ქულაა. პირველ სახეობაში სალუქვაძემ უახლოეს მდევარს, ხორვატ სკოკოს 3,4 ქულით გაუსწრო, მეორეში კი 2,2 ქულით აჯობა რუს ლოგვინენკოს.

# „შემოდგომის სარაგბო სონატა“ გადაიდო



გუშინ ვაკეში სარაგბო სეზონი არ განახლებულა. ეტყობა, საქართველოს რკინიგზის ფეხბურთის ბედის განმგებლები შეუვალნი აღმოჩნდნენ. შეგახსენებთ, რომ მათი დაჟინებული მოთხოვნის თანახმად ვაკის იავარქმნილ სტადიონზე ამიერიდან მხოლოდ მნიშვნელოვანი სარაგბო თამაშები თულა გაიმართება, რაც ისედაც

ახლა, როგორც ირკვევა, ქვეყნის სპორტის ხელისუფალთა განკარგულება ფარატინა ქაღალდი ყოფილა. საკმარისია, რკინიგზამ ინდომოს და „საქართველოს თვიქნემად“ შეგულვებულ სტადიონზე რკინიგზელ ფეხბურთელთა და მორაგბეთა მეტი ვერავინ გაიჭაჭანებს.

ასეა თუ ისე, ცხადი ხდება, რომ

## «საქართველოს თვიქნემის» ბედი დღეს გადაწყდება

სამკვიდრომოკლებულ მორაგბეებს ლტოლვილებად ქცევას უქადის.

არადა, ერთი წლის წინ ვაკის სტადიონი სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით ვითომც უპირატესად რაგბის სათამაშოდ გამოიყო. აკი რაგბის კავშირის ოფისიც სტადიონის ყოფილ სამთავრობო ლოჟაში დაფუძნდა.

მორაგბეებს უძრაობის ხანაში დაბრუნება მოუწევთ — საასპარეზოდ ისევ კარდაკარ მოუხდებათ წანწალი. ანაც გერგილიანმა კლუბებმა რკინიგზასა და მოძმე ფეხბურთელებთან კავშირისა და სპორტკომიტეტის გვერდის ავლით უნდა გაჩარხონ საქმე.

გუშინ მორაგბეები ფეხბურთელებთან საშუამდგომლოდ ბატონ ჯანო ბაგრატიონთან აპირებდნენ შესვლას. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მოუცლელობის გამო აუდიენცია დღეისთვის გადაიდო.

როგორც შევიტყვეთ, სარაგბო საზოგადოებრიობა მოკრძალებულად ითხოვს, წლევანდელი ჩემპიონატი ვაკეში დაამთავრებინონ. საუბარია ოდენ ამერის პირველი ჯგუფის ექვსი თბილისური გუნდის მოედანზე შეშვების შესახებ, თორემ მეორე ჯგუფიც რომ არსებობს, ვილას ახსოვს.

ერთი სიტყვით, სეზონის გახსნაგანახლება ჯერჯერობით შაბათის, 4 სექტემბრისთვის გადაიდო. რაც შეეხება „ვაკის შვიდკაცას“, იგი წელს თურმე რუსთავში გაიმართება.



## ქელეზნის მსოფლიო რეკორდი

ჩეხმა მსოფლიოს ჩემპიონმა იან ჟელეზნიმ კვირას, შეფილდში გამართულ „მაკდონალდსის თამაშებზე“ შუბი მესამე ცდით 95,66 მეტრზე ტყორცნა და 12 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი, რომელიც აპრილში სამხრეთ აფრიკაში დაამყარა.

თბილისი 18.08 — დინამო
1.09 ბელფასტი — ლინფილდი

# წინ, დანიისკენ!

გუშინ უთენია ჩარტერული რეისით ბელფასტს გაფრინდა თბილისის „დინამო“. ჩვენს ფეხბურთელებს ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება სჭირდებათ, რათა ერთი თვის მერე დანიის ქედაქალაქიც მოინახულონ. ვიზებთან დაკავშირებული პრობლემების გამო არ მოხერხდა უკვე გამზადებული 120 კაციანი გულშემატკივართა ჯგუფის გამგზავრება, ასე რომ დინამოელები ტრიბუნების მხარდაჭერას მოკლებული იქნებიან. სამაგიეროდ, გუნდს თან ახლავს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი.

გამგზავრების წინ „დინამო“ ხაშურს ეწვია, სადაც მერვე ტურიდან გადმოტანილი მატჩი ითამაშა და, რა თქმა უნდა, მოიგო 2:0, თუმცა ეს ძნელად ჩაითვლება „გენერალურ რეპეტიციად“.

ჩვენი არ იყოს, „ლინფილდის“ გულშემატკივრებსაც მოენატრათ ევროტურნირები. სამი წელია მათი გუნდი არ გამოსულა ამ თასების გათამაშებებში. მანამდე კი ორი წელი „ლინფილდი“ მეზობელ უელსში, ქალაქ რექსჰემში ატარებდა მატჩებს დისკვალიფიკაციის მიზეზით, რომელიც კლუბმა გულშემატკივრების ხულიგნური საქციელის გამო მიიღო. გამოსწორდნენ კი ისინი? ამაზე უეფა-ს შეატყობინებს მატჩის კომისარი, თავად შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ედგარ ობერტიუფერი. მატჩს კი ნორვეგიის მსაჯთა ბრიგადა ნარუძლევება.

სამწუხაროდ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მატჩის რადიორეპორტაჟი, მაგრამ როგორც გუშინ ტელევიზიისა და რადიოს სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქციის მთავარმა რედაქტორმა დავით ქლიბაძემ გვითხრა, მოლაპარაკება გრძელდება. უკვე ცნობილია, რომ მატჩი თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება. — გულშემატკივრებს ვურჩევთ, ამ დროს რადიომიმღებებს მიუსხდნენ: თუ მატჩის სრული რადიორეპორტაჟი არ მოხერხდა, პერიოდული ჩართვებით მაინც იქნებიან საქმის კურსშიო — დასძინა მან.

რაც შეეხება თამაშს, უდავოა, ემოციური დაძაბულობა თბილისურ მატჩთან შედარებით არანაკლები იქნება. ორი კვირის წინანდელ ვნებათაღელვაზე კი გია ახალაძის ამ ფოტორეპორტაჟის მიხედვითაც შეგიძლიათ მსჯელობა.













საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ჯგუფი

# ფეხბურთმა გაიმარჯვა

წელიწადნახევარი ელოდა ამ დღეს ზუგდიდი. ქუჩაში შეკრებილი ხალხი, მეგონა პოლიტიკაზე ლაპარაკობდა, მაგრამ, თურმე, თბილისში გადასული ჯანაშიასა და კვიტატიანის დაბრუნებაზე ლაპარაკობდნენ. ზუგდიდელებს იმ დღეს იმდენად ფქვილის არქონა არ აწუხებდათ, რამდენადაც თავიანთი ლიბერო თუთბერიძის არყოფნა, რომელმაც წინა თამაშში მეორე გაფრთხილება მიიღო. მატჩზე ყოფილი პარლამენტის რამდენიმე წევრიც შევნიშნე. მოკლედ, ზუგდიდი და ქალაქის სტუმრები ამ დღეს ფეხბურთის მოლოდინში იყვნენ. საზეიმო ვითარებაში ჩაიარა ჩემპიონატის გახსნამ. მთელი მატჩის განმავლობაში კი ყველაზე კარგად ცნობილი მეხუთე სექტორი იქცეოდა.

მატჩი დასაწყისშივე ოდიშელებმა შეუტიეს და მარჯვენა ფრთიდან კვარაცხელიას პირველივე შეტევა კარში დარტყმით დამთავრდა — ბურთი მოხვდა ძელს, აქ კი მცველების და მეკარის უთანხმოებით ისარგებლა აფაქიძემ და შეაგორა კარში ბურთი, რომელიც ზუგდიდში პირველი გამოდგა ამ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში. ამ გოლისთვის აფაქიძემ 50 ათასი კუპონიც მიიღო. ოჩამჩირელებმა დაბნეულად დაიწყეს თამაში და თავიდან ზუგდიდელებმა აშკარად დაჯაბნეს ისინი. მეორე და მესამე გოლებიც „ამირანის" დაცვის შეცდომების შედეგი იყო. ზუგდიდელთაგან აღსანიშნავია გაბედავას აქტიური თამაში. „ამირანი" მხოლოდ ტაიმის ბოლოს მოვიდა გონს და კარგად მოთამაშე თოლორდავამ ინდივიდუალური გარღვევა ლამაზი გოლით დაამთავრა. მეორე ტაიმში ვითარება რადიკალურად შეიცვალა და მას გელა გაბისონიას ბენეფისი შეიძლება ვუწოდოთ. მარტო მან იმდენი ხლაფორთი მიაყენა „ოდიშის" დაცვას, რომ თუ არა ზუგდიდელთა მეკარის, ჰანტურიას კარგი თამაში, „ამირანი" სამი ქულით დაბრუნდებოდა ოჩამჩირეში.

მატჩის ბოლოს ხალხმა გუნდები ტაშით გააცილა, ხოლო ოჩამჩირელებს სტუმრად მოპოვებული ქულა პირველებმა ოდიშელებმა მიულოცეს. შეხვედრის შემდეგ გავესაუბრე გუნდის მწვრთნელებს.

**ბადრი თუთბერიძე („ოდიში"):** სამწუხაროდ, წელსაც თავიდან მომიხდა გუნდის დაკომპლექტება. ცხრა კაცის შეცვლა იოლი საქმე არ არის. მათ სანაცვლოდ მოყვანილი ფეხბურთელები მთელი სეზონის უთამაშებლები იყვნენ, ამიტომაც დავთმეთ მეორე ტაიმი, მაგრამ ჩემთვის მთავარი შედეგი არ ყოფილა. მთავარი ისაა, რომ ზუგდიდში მატჩი ჩატარდა და ყველა დარწმუნდა, რომ აქ ფეხბურთის თამაში შეიძლება.

**ბონდო კაკუბავა („ამირანი"):** შედეგით კმაყოფილი ვარ. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩემპიონატისთვის ფაქტიურად ტყვიების წვიმის ქვეშ ვემზადებოდით. ვერ ჩავატარეთ ვერც ერთი საკონტროლო მატჩი. ვფიქრობ, როცა გოგიტაძე და ახვლედიანი დაგვემატებიან, უფრო კარგად ვითამაშებთ. ამას ისიც დაუმატეთ, რომ უკვე შემდეგი ტურიდან საშინაო მატჩებს მართლაც რომ შინ ვითამაშებთ. რაც შეეხება ზუგდიდელებს, მათ დიდ მადლობას მოვახსენებ ასეთი დახვედრისათვის.

**მამუკა კვარაცხელია**
ზუგდიდიდან, ტელეფონით

## მეორე ჯგუფი

I ტური
ალმოსავლეთი

მერანი — ერქვანი 3:1
ზ. ზირაქიშვილი (65, 80), ე. ისაკოვი (50); კ. ჭუმბურიძე (6)

დასავლეთი

მერცხალი — კახაბერი 2:1
მჟავანაძე (9), მ. გოგალაძე (43); დ. შერვაშიძე (35)
სულორი — უქიმერიონი 1:2
ნ. ძაგნიძე (35); გ. ივანეიშვილი (49), გ. ლურსმანაშვილი (67 პ)
სამეგრელო — ჩხერიმელა
(ჩხერიმელა არ გამოცხადდა)

## საქართველოს თასი

მეორე წინასწარი წრე

ანცი — ჟინვალი 7:0
ალდუმბაძე (7, 17, 35, 53, 73, 88), დ. უგრელიძე (48)
ულუმბო — არაგვი 1:4
დ. ლორთქიფანიძე (57); გ. ანდღულაძე (27, 45, 66), კ. ებიტაშვილი (89)
მერცხალი — დურუჯი 0:1

## სტატისტიკა. V ტური

| | ალმ. | დას. | სულ | სეზონში |
|---|---|---|---|---|
| მატჩი | 4 | 4 | 8 | 43 |
| გოლი | 7 | 16 | 23 | 153 |
| საშუალო შედეგიანობა | 1,75 | 4,00 | 2,88 | 3,56 |
| მასპინძლები — სტუმრები: | | | | |
| ქულები | 9-3 | 8-2 | 17-5 | 94-28 |
| პროცენტულად | 75-25 | 80-20 | 77-23 | 77-23 |
| ბურთები | 5-2 | 11-5 | 16-7 | 106-47 |
| პროცენტულად | 71-29 | 69-31 | 70-30 | 69-31 |
| გაძევება | — | — | — | 1-4 |
| გაფრთხილება | 1-2 | 1-3 | 2-5 | 26-29 |
| პენალტი | — | 0-1 | 0-1 | 10-8 |
| გამოყენებულია | — | 0-1 | 0-1 | 10-5 |
| დიდი ანგარიში | — | 1 | 1 | 13 |
| „ჰეთ-თრიქი" | — | — | — | 4 |
| ფეხბურთელთა რაოდენობა | 100 | 102 | 202 | 328 |
| დებიუტანტები | — | 2 | 2 | 66 |

მეასე მატჩი ითამაშა პირველ ჯგუფში ჩემპიონატის ყველაზე ასაკოვანმა ფეხბურთელმა ალკაზ ქანთარიამ (მზიური)
2-2 გოლი გაიტანეს გაბისონიამ (ამირანი), გაბედავამ (ოდიში), ყულეჯიშვილმა (ბათუმი)
აღინიშნა პირველი ავტოგოლი, მისი ავტორია სოხუმელი ზ.ჯელაძე
ბომბარდირთა შორის ლიდერობენ: კორღალიძე (გურია) — 6, გაბისონია (ამირანი) — 5, ჯანაშია, იონანიძე (ორივე სამტრედია, გოგოლაძე (გურია), გოგიაშვილი (ცხუმი), მაჭუტაძე (ბათუმი), შ.არველაძე, ა.არველაძე, ქინქლაძე (სამივე დინამო), კ.გოგიჩაიშვილი (შევარდენი 1906) — 4-4 გოლი.

**რევაზ შენგელია**

## V ტური

ალმოსავლეთი

| | |
|---|---|
| მარგვეთი | 1 |
| შევარდენი 1906 | 0 |

ზესტაფონი, ცენტრალური სტადიონი
27 აგვისტო

მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ლონლაძე, წიქარიშვილი, გიორგაძე, ხუნდაძე (ლანჩავა, 87), მეგრელაძე, სუხიაშვილი (გაბრიჭიძე, 88), შენგელია.
შევარდენი 1906: ნაჭყებია, კვიტატიანი, შურღაია, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ბაკურაძე (ელიაშვილი, 87), ქოჩლაძე, გოგიჩაიშვილი, ფანცულაია, ჯანაშია.

1:0 მეგრელაძე (19)

მსაჯი: ვ. გვიჩია (ლანჩხუთი)

| | |
|---|---|
| კახეთი | 2 |
| საპოვნელა | 0 |

თელავი. გივი ჩოხელის სტადიონი
27 აგვისტო

კახეთი: გრიშიკაშვილი, ტოგონიძე (ჭაჭუა, 60), კაციტაძე, სანადირაძე, წიქარიშვილი, ჭვრიტიძე (ა. ხორხელი, 56), სეფაშვილი, შონია, ალავიძე, კვარაცხელია, ბაბულაიძე.
საპოვნელა: თევზაძე, ბებიაშვილი, გეწაძე, ხვარეშია, ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე (გურაბანიძე, 79), გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ჩინჩალაძე.

1:0 კაციტაძე (4)
2:0 შონია (60)

გაფრთხილება: ბრეგვაძე
მსაჯი: ა. წერეთელი (ჭიათურა)

| | |
|---|---|
| დილა | 2 |
| მაღაროელი | 0 |

გორი, ცენტრალური სტადიონი
27 აგვისტო

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე (მინდიაშვილი, 61), გაგნიძე, თარხნიშვილი, მეტრეველი (რევაზიშვილი, 80), მარეხაშვილი, მიქელაძე, ტაბატაძე, ციცქიშვილი, წკრიალაშვილი.
მაღაროელი: ხელაძე, იობაშვილი, ლურსმანაშვილი, რუხაძე, თამაზაშვილი, დადუნაშვილი, ბრეგვაძე, ბუიშვილი, კავთელაძე (ბურძენიძე, 70), ნიკლაური, მწყერაშვილი (აბრამიშვილი, 46).

1:0 ტაბატაძე (18)
2:0 ციცქიშვილი (83)

გაფრთხილება: მიქელაძე, ლურსმანაშვილი
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

VIII ტურის მატჩი

| | |
|---|---|
| ივერია | 0 |
| დინამო | 2 |

ხაშური, ცენტრალური სტადიონი
27 აგვისტო

ივერია: ტოგონიძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, ბ. ჩადუნელი, გ. ჩადუნელი (დ. ტარიელაშვილი, 55), ხარაზიშვილი, მაქაცარია, რობაქიძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, ბაკურაძე.
დინამო: ზოიძე, ბერაძე, ქველაძე, შელია, ინალიშვილი (რევიშვილი, 46), ყაველაშვილი, ა. არველაძე,. ნემსაძე, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე.

0:1 ა.არველაძე (40)
0:2 რ.არველაძე (43)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

V ტურის 2 მატჩი: მეტალურგი — დინამო, ივერია — მრეტები საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ესპანური ტურნეს გამო გადაიდო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 19-2 | 12 |
| კახეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| დილა | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 6 |
| შევარდენი 1906 | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 6 |
| მაღაროელი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-7 | 6 |
| მარგვეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-7 | 6 |
| ივერია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| ერქვანი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| საპოვნელა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| მრეტები | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| მეტალურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |

დღეს, VI ტურში თამაშობენ:
მაღაროელი — ივერია
საპოვნელა — დილა
შევარდენი 1906 — მეტალურგი
ერქვანი — მარგვეთი
დინამო — კახეთი გადაიდო

2

დასავლეთი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 2 |
| ტორპედო | 1 |

სამტრედია, ეროსი მანჯგალაძის სტადიონი
27 აგვისტო

სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, ვაშაკიძე, წულაია (ქყონია, 75), ამაშუკელი, ტონია, ჯანაშია, ფანჩულიძე, გოგელიძე.
ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე, ჩხაბერიძე, მესიაჩენკო, ხართიშვილი, სადილიანი, ვოსკანოვი, გიორგობიანი (ჯინჭარაძე, 53), მაღლაკელიძე, ხუჭუა, კვეტენაძე (ვაჩიბერაძე, 54).

1:0 ფანჩულიძე (47)
2:0 იონანიძე (55)
2:1 ჯინჭარაძე (73)

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

| | |
|---|---|
| ბათუმი | 5 |
| სამგურალი | 0 |

ბათუმი, სტადიონი „დინამო"
27 აგვისტო

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, სიხარულიძე (ფუტკარაძე, 70), შეყილაძე, თორლაშვილი, მახარაძე, მაჭუტაძე, ყულეჯიშვილი, ტულუში, გეთია (ჯიჯავაძე, 80)
სამგურალი: კიკალეიშვილი, მუშკუდიანი (ჯანხოთელი, 80), რ. იობიძე, გ. ჯანელიძე, მაღლაკელიძე, ჭ. იობიძე (ჯანაშია, 55), ცნობილაძე, ქობულაძე, ხურცილავა, ვ. ჯანელიძე, ხარაბაძე.

1:0 თორლაშვილი (70)
2:0 მაჭუტაძე (73)
3:0 ყულეჯიშვილი (75)
4:0 გოგიტიძე (77)
5:0 ყულეჯიშვილი (81)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

| | |
|---|---|
| ოდიში | 3 |
| ამირანი | |

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი
27 აგვისტო

ოდიში: ჭანტურია, ჯოლოხავა (წიტაიშვილი), მესხი, აბრალავა, გაფრინდაშვილი, გაბედავა, კვარაცხელია, გუგუჩია, დარასელია, ქაბანაია (კუტალია), აფაქიძე
ამირანი: მიქაია, ძალამიძე, ვ. კაკუბავა, ვ. გუჩუა, შამუგია, ჯიჯუა, ჯინორია (შალამბერიძე, 32), ნ. კაკუბავა, თოლორდავა, გაბისონია, აფენდოპულო (როსტობაია, 79)

1:0 აფაქიძე (3)
2:0 გაბედავა (18)
3:0 გაბედავა (36)
3:1 თოლორდავა (40)
3:2 გაბისონია (60 პ)
3:3 გაბისონია (78)

გაფრთხილება: გაბისონია, შამუგია, ნ. კაკუბავა, აბრალავა
მსაჯი: ს.კახიანი (სამტრედია)

| | |
|---|---|
| ცხუმი | 1 |
| მზიური | 1 |

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი
27 აგვისტო

ცხუმი: ქვაჩახია, ჯიჯელავა, ზ. ჯელაძე, სიჭინავა, დანელია, მინდაძე, ლურწკაია, ანჯაფარიძე (გ. ჯელაძე, 30), გადელია, გოგიაშვილი, რუსია.
მზიური: ფიფია, ეთერია (დ. კვეკვესქირი, 78), ზ. კვეკვესქირი, დ. ლურწკაია, თ. ლურწკაია, ხერგიანი (ქორთუა), კ. კვეკვესქირი, თორია, ყოლბაია, ჩხეტია, ქანთარია.

0:1 ზ. ჯელაძე (32 საკ. კარში)
1:1 გოგიაშვილი (37)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

გურია — შუქურა ახალგაზრდული ნაკრების ესპანური ტურნეს გამო გადაიდო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 4 | 4 | 0 | 0 | 13-2 | 12 |
| სამტრედია | 5 | 3 | 1 | 1 | 13-7 | 9 |
| გურია | 3 | 3 | 0 | 0 | 16-2 | 9 |
| კოლხეთი 1913 | 4 | 3 | 0 | 1 | 10-5 | 9 |
| ტორპედო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| მზიური | 5 | 1 | 1 | 3 | 4-14 | 4 |
| სამგურალი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-10 | 3 |
| ამირანი | 4 | 0 | 2 | 2 | 0-13 | 2 |
| ოდიში | 4 | 0 | 2 | 2 | 8-12 | 2 |
| ცხუმი | 4 | 0 | 2 | 2 | 5-14 | 2 |
| შუქურა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |

დღეს, VI ტურში თამაშობენ:
ამირანი — ცხუმი
შუქურა — ოდიში
სამგურალი — გურია
ტორპედო — ბათუმი
კოლხეთი 1913 — სამტრედია

ახალგაზრდული ნაკრების ესპანური ტურნე

# გამარჯვება მხოლოდ რუსებთან

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ესპანეთში საერთაშორისო ტურნირზე ბოლოსწინა, მეშვიდე ადგილი დაიკავა, ოთხი თამაშიდან სამი წააგო (მათ შორის ერთი 1:7) და ერთიც ფრედ ითამაშა. კიდევ 1:7? აღშფოთებული იკითხავს მკითხველი, რომელსაც ივლისში ჰოლანდიაში ჭაბუკთა ნაკრების ანალოგიური მარცხი ახსოვს. ღირს კი ასეთი შედეგისთვის ცხრა მთას იქით სიარული?

...საქართველოს ტელევიზიით კარგა ხანს ატრიალებდნენ სარეკლამო ფირს იმის შესახებ, თუ რა მშვენიერი იქნებოდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ესპანეთში გამგზავრება. ამისთვის საჭირო თანხა მალე გაანახევრეს და მეც საშუალება მომეცა ჩვენ გუნდთან ერთად „დამესვენა". „ორბის" თვითმფრინავის ტრაპთან, რომ იტყვიან, ფეხბურთელებმა ერთმანეთი გაიცნეს და გზას გავუდექით. აღმოჩნდა, რომ ჩვენ ნაკრებს არათუ შეკრება, უბრალო ვარჯიშის ჩატარებაც ვერ მოუსწრია. ჩვენსავით ესპანეთში მხოლოდ ჩილეს ნაკრები იყო ჩამოსული.

ვალენსიაში, წესით და რიგით, ტურნირის დაწყების წინა დღეს უნდა ჩავფრენილიყავით. მწვრთნელები რამაზ შენგელია და ვლადიმერ პანოვიც სწორედ იქ აპირებდნენ პირველი ვარჯიშის ჩატარებას, მაგრამ... თვითმფრინავი კიევში დაეშვა, იქ უკრაინის ნაკრებიც შემოგვემატა და ესპანეთისკენ გზა გავაგრძელეთ. ორი საათის ფრენის შემდეგ კი... კვლავ კიევში დავჯექით. აღმოჩნდა, რომ შევედით თუ არა სლოვაკეთის საჰაერო სივრცეში, იმწუთას იმათ შემოუთვლიათ — სასწრაფოდ გადით აქედანო. ჩვენებურმა „ორბმა" არ გაჭრა — სლოვაკები ჩამოგდებითაც კი დაემუქრნენ ეკიპაჟს. დღემდე ვერ დავაზუსტე, თუ რა იყო სლოვაკების გადარევის მიზეზი. ერთი ვერსიით, ავიაკომპანია „ორბს" ამ ქვეყნის ვალი ჰქონია, მეორე ვერსიით კი ჩვენი თვითმფრინავი... უნომრო ყოფილა. ამას აზრი აღარა აქვს ფეხბურთელებისთვის, რომელთაც „ბორისპოლის" სასტუმროში გაათენეს ღამე. გაირკვა, რომ „ორბი" ვეღარ გაფრინდებოდა. იქმნებოდა გამოუვალი სიტუაცია. ჩაუსვლელობის შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაცია გვარიან ჯარიმას გადაიხდიდა და მერე, ვინ იცის, მოიწვევდა კი ვინმე გუნდს, რომელიც ბოლო მომენტში არ ჩადის და ტურნირი ჩაშლის პირამდე მიყავს? „მშველელად" უკრაინის ავიაკომპანია მოგვევლინა, რომელიც 53 ათას დოლარად დროზე ჩაყვანას დაგვპირდა. სხვა რა გზა იყო 30 ათასი უკრაინის დელეგაციამ გაიღო, 15 ათასი ჩვენმა ტურისტულმა ფირმამ, დანარჩენი 8 ათასიც დელეგაციის წევრებმა „ჩამოვყარეთ" და საღამოს ცხრის ნახევარზე ჩვენი ნაკრები უკვე მოედანზე იყო, სადაც მას მასპინძელთა გუნდი ელოდა.

დროზე რომ ჩავფრენილიყავით, ესპანელებს ნამდვილად მოვუგებდით — ასეთი აზრი გამიჩნდა მეც და ბევრ სხვასაც პირველი მატჩის შემხედვარე. გადაღლილმა ბიჭებმა მხოლოდ ბოლოს დათმეს შეხვედრა. მართალია, მარტო უსაშველო ფრენით დამარცხების გამართლება არასერიოზულია (უკრაინაც ხომ ჩვენთან ერთად მოდიოდა), მაგრამ პირველ მატჩზე ამან დიდი გავლენა მოახდინა. მეორე მატჩი „პროვოკაციის ოსტატებთან", როგორც ჩილეს ნაკრებს იტალიელთა მწვრთნელმა შეარქვა, ერთი ბურთით წავაგეთ და ორი კაციც გაგვიგდეს. უკრაინამ კი, ვინც პირველი ორი თამაში მოუგო ესპანელებსა და ჩილელებს, ბოლო მოგვიღო — 1:7.

...ტურნირი ვალენსიიდან 35 კილომეტრის დაშორებით, სოფელ ლას-ვილიადე კარლეტში ტარდებოდა. ჯგუფური ტურნირების დამთავრების შემდეგ საშუალება მქონდა ორი დღე ქალაქის დათვალიერებისთვის დამეთმო. პირველი, რამაც გამაოცა, ის იყო, რომ ვალენსიაში თითქმის არავინ იცის ინგლისური. ვიყავი მარიო კემპესის სპორტულ მაღაზიაში, თუმცა იგი ძალიან ჩამორჩება ჩვეულებრივ სპორტულ მაღაზიას. მოველოდი, რომ ესპანელი ქალები ლამაზები იქნებოდნენ — ასეც აღმოჩნდა, მაგრამ თუ ესპანური ლუდი ჩინებული იქნებოდა, არ მეგონა...

ნახევარფინალებში უკრაინამ პენალტებით მოუგო ამერიკის ძალიან პერსპექტიულ ნაკრებს, ხოლო ჩილემ იტალიას 1:0. ფინალში უკრაინამ დამატებით დროში მოუგო „პროვოკატორებს" 1:0.

ჩვენებს კი ბოლოსწინა ადგილისთვის მატჩში რუსეთის ნაკრები შეხვდა. შეიძლება ყველასთან წაგო, მაგრამ რუსეთთან უნდა „თავი გავიგიჟოთ" და რამე ვქნათ — ასეთი იყო ჩვენი აზრი. პენალტების სერიით საქართველომ იმარჯვა. მერე რა, რომ რუსები ორი წლით უმცროსი ასაკის გუნდით იყვნენ ჩამოსულნი. მათთან მოგება ყოველთვის დიდ სიამოვნებას მგვრიდა, ახლა — მითუმეტეს.

დასაწყისში ვამბობდი — მკითხველი იტყვის — ღირდა კი წასვლაო. რა თქმა უნდა, ღირდა. ჩვენ თუ საკუთარი თვალით არ დავინახეთ და საკუთარ ფეხებზე არ გამოვცადეთ მსოფლიო ფეხბურთი, შორს ვერ წავალთ.

**გია იოსელიანი**
„სარბიელის" სპეც. კორესპონდენტი

# სამხრეთ ამერიკა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე კვირას გაიმართა ოთხი მატჩი

**A ჯგუფი**

**არგენტინა — პარაგვაი 0:0**
**კოლუმბია — პერუ 4:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 5 | 3 | 2 | 0 | 8-2 | 8 |
| არგენტინა | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| პარაგვაი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-5 | 5 |
| პერუ | 5 | 0 | 0 | 5 | 2-10 | 0 |

**B ჯგუფი**

**ბრაზილია — ბოლივია 6:0**
**ურუგვაი — ვენესუელა 4:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლივია | 6 | 5 | 0 | 1 | 20-8 | 10 |
| ბრაზილია | 6 | 3 | 2 | 1 | 14-4 | 8 |
| ურუგვაი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 6 |
| ეკვადორი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-3 | 4 |
| ვენესუელა | 6 | 0 | 0 | 6 | 2-29 | 0 |

ტურის კვირაძალს პარაგვაელთა მწვრთნელები — ესპინოზა და მონტესი გადადგნენ, აქაოდა გარეშენი გუნდის შემადგენლობის დადგენაში ერევიანო. პარაგვაის აშშ-ში წასვლის რეალური შანსი რომ შეენარჩუნებინა, ბუენოს-აირესში, „რივერ პლეიტზე" უნდა მოეგო არგენტინისთვის. პარაგვაი საწადელს ვერ ეწია, მაგრამ ყრუ დაცვისა და მეკარის გამოისობით ფრეს მიაღწია, რითაც არგენტინას ერთობ გაურთულდა საქმე. ბასილეს გუნდმა ახლა შინ უსიკვდილოდ უნდო მოუგოს კოლუმბიას, თორემ აშშ-ს საგზურისთვის ზედმეტი გარჯა — ავსტრალიასთან ჭიდილი მოუწევს. რაც შეეხება პარაგვაის, მას მეორე, ნაწილობრივ გამსვლელ ადგილზე გასვლის ჰიპოთეტური შანსილა რჩება: თავად სტუმრად ძალიან დიდი ანგარიშით უნდა მოუგოს პერუს, არგენტინამ კი შინ კოლუმბიასთან უნდა წააგოს, რაც, ალბათ, არ მოხდება.

ბრაზილიამ ბოლოსდაბოლოს აიწყვიტა. ქალაქ რესიფეში წვიმამაც ვერ დააფრთხო 70 ათასი ტორსიდორი. ბოლივია მთიდან ჩამოვიდა და როგორც გაირკვა, ვერაფერი გუნდი ყოფილა. შესვენებამდე ბრაზილიამ ხუთი ბურთი შეაგდო. თავი კაპიტანმა რაიმ, მიულერმა, ბებეტომ, ბრანკუმ და გომეშმა ისახელეს, ამასთან ბოლო ორმა გოლები თავით გაიტანეს კუთხური მოწოდებების შემდეგ.

მეორე ტაიმში ბებეტომ მეექვსე გოლიც გაიტანა, თამაშის ბოლოს კი დუნგა მოედნიდან გააძევეს ერთობ უხეშად თამაშისთვის. ასეა თუ ისე, მწვრთნელ კარლოს ალბერტო პერეირას, ალბათ, აღარ მოხსნიან.

ბრაზილია ჯგუფში, ალბათ, პირველ ადგილზე გავა. რაც შეეხება ურუგვაის, მას ბოლივიის არათუ დაწევის, არამედ მისთვის გასწრების შანსიც კი რჩება. ფინიშისწინა განლაგებას ურუგვაი — ეკვადორის მომავალი მატჩი გაარკვევს.

# საფრანგეთი

VI ტური. 28 აგვისტო. „ნანტი" — „მონპელიე" 0:0, „მონაკო" — „მარსელი" 0:0, „ტულუზა" — „ლილი" 1:1, „ლე ავრი" — სტრასბური" 0:1, „სენტ ეტიენი" — „ბორდო" 0:0, „კანი" — „სოშო" 1:1, „პარი სენ-ჟერმენი" — „კაენი" 2:0, „ლანი" — „ანჟერი" 0:1, „მარტიგი" — „მეცი" 1:1, „ოსერი" — „ლიონი" 3:2 (ჰეთ-თრიქი შეასრულა ბატიკლმა). კინაღამ ჩაიშალა მატჩი პარიზში, სადაც „სენ-ჟერმენის" მოფაშისტო მაყურებლები მოედანზე გად აცვივდნენ. 20 წუთის განმავლობაში პოლიცია ებრძოდა ხულიგნებს და ამ მუშტი-კრივში 2 ოფიცერი მძიმედ და 4 მსუბუქად დაუშავდა. ბოლოს პოლიციამ ცრემლსადენი გაზით შეძლო ვანდალების დაწყნარება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანი (დ) | 6 | 3 | 3 | 0 | 9-6 | 9 |
| ბორდო (4) | 6 | 3 | 2 | 1 | 8-3 | 8 |
| ნანტი (5) | 6 | 3 | 2 | 1 | 5-2 | 8 |
| მარტიგი (დ) | 6 | 2 | 3 | 1 | 10-6 | 7 |
| მონაკო (3) | 6 | 3 | 1 | 2 | 9-5 | 7 |
| ლიონი (14) | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| ოსერი (6) | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 7 |
| პსჟ (2) | 6 | 3 | 1 | 2 | 7-5 | 7 |
| სტრასბური (8) | 6 | 1 | 5 | 0 | 6-5 | 7 |
| მარსელი (1) | 6 | 2 | 3 | 1 | 4-3 | 7 |
| სოშო (16) | 6 | 2 | 2 | 2 | 8-6 | 6 |
| სენტ-ეტიენი (7) | 6 | 1 | 3 | 2 | 5-5 | 5 |
| მეცი (12) | 6 | 1 | 3 | 2 | 5-6 | 5 |
| ანჟერი (დ) | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 5 |
| კაენი (11) | 6 | 2 | 1 | 3 | 4-9 | 5 |
| ლილი (17) | 6 | 0 | 4 | 2 | 6-8 | 4 |
| ლანი (9) | 6 | 1 | 2 | 3 | 2-4 | 4 |
| ლე ავრი (15) | 6 | 0 | 4 | 2 | 3-7 | 4 |
| მონპელიე (10) | 6 | 1 | 2 | 3 | 4-9 | 4 |
| ტულუზა (13) | 6 | 0 | 4 | 2 | 3-9 | 4 |

# გერმანია

პარასკევს სამი მატჩით დაიწყო მეოთხე ტური. დებიუტანტმა „ფრაიბურგმა" შინ წააგო „ჰამბურგთან" 0:1. ეს გოლი გუნდის ვეტერანმა, 32 წლის თომას ფონ ჰესენმა გაიტანა. ამ ფეხბურთელს თავის დროზე თბილისშიც უთამაშია, ოღონდ კიევის „დინამოს" წინაამდეგ. თბილისში სერგეი კირიაკოვიც გვინახავს. სწორედ მისი გოლის წყალობით მოუგო „კარლსრუემ" მიონხენგლადბახის „ბორუსიას" 1:0. ვერ იქნა და ვერ იზეიმა გამარჯვება „ლაიპციგმა", რომელმაც თავის „კოლეგა-დებიუტანტ" „დუისბურგს" ვერაფერი გაუხერხა (1:1), თან ამ თამაშში მათ ორი ფეხბურთელიც გაუგდეს. „ლაიპციგის" დღეში არიან დრეზდენის „დინამო" და „შტუტგარტი" — მათაც ჯერ არ მოუგიათ, თუმცა „შტუტგარტის" ფრე მიუნხენში „ბაიერნთან" 2:2 უკვე მიღწევაა. „დინამომ" კი შინ „ვატენშაიდი" ვერ დაამარცხა — 1:1. ყველაზე საინტერესო მატჩები შაბათს გაიმართა. „ვერდერმა" დაძაბულ ბრძოლაში სტუმრად მოუგო „კაიზერსლაუტერნს" 3:2. ჩემპიონებიდან გოლები ული ბოროვკამ, ანდრეას ჰერცოგმა და თომას ვოლტერმა გაიტანეს, მასპინძელთაგან კი უცხოელებმა მცველებმა: შვედმა იან ერიქსონმა და ჩეხმა მიროსლავ კადლეცმა. ლევერკუზენის „ბაიერმა" მორიგი მეტოქე დაამარცხა (2:1). ამჯერად დორტმუნდის „ბორუსია", რომელსაც სულ მალე ჩვენი ოსი მეზობლები უმასპინძლებენ უეფას თასის მატჩში. რაც შეეხება „ყველაზე ცნობილ ოსს" — ვალერი გაზაევს, მას ნამდვილად არ გაუმართლა კენჭისყრისას — მის მოსკოვის „დინამოს" ხვდება „აინტრახტი", რომელიც მშვენიერ ფორმაშია და ბოლო ტურში „ნიურნბერგი" გაანადგურა, თანაც სტუმრად 5:1. ტონი იებოამ ამჯერად ორი გოლი გაიტანა, მას წაეხმარნენ უვე ბაინი, მანფრედ ბინცი და მირკო დიკჰაუტი. მასპინძელთაგან გოლი შეცვლაზე შემოსულმა არგენტინელმა სერხიო ზარატემ პენალტით შეაგდო. „შალკემ" შინ წააგო „კიოლნთან" 1-2. მეხუთე ტურის მატჩები უკვე დღეს და ხვალ გაიმართება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი (3) | 4 | 3 | 1 | 0 | 12-3 | 7 |
| ვერდერი (1) | 4 | 3 | 1 | 0 | 13-6 | 7 |
| ლევერკუზ. (5) | 4 | 3 | 1 | 0 | 8-5 | 7 |
| ჰამბურგი (11) | 4 | 3 | 0 | 1 | 10-5 | 6 |
| ბაიერნი (2) | 4 | 2 | 1 | 1 | 11-5 | 5 |
| დუისბურგი (დ) | 4 | 1 | 3 | 0 | 6-5 | 5 |
| კაიზერსლ. (8) | 4 | 2 | 0 | 2 | 8-6 | 4 |
| კარლსრუე (6) | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 4 |
| დორტმუნდი (4) | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 4 |
| კიოლნი (12) | 4 | 2 | 0 | 2 | 4-5 | 4 |
| ვატენშაიდი (14) | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 3 |
| ფრაიბურგი (დ) | 4 | 1 | 0 | 3 | 7-8 | 2 |
| ლაიპციგი (დ) | 3 | 0 | 2 | 1 | 5-7 | 2 |
| შტუტგარტი (7) | 3 | 0 | 2 | 1 | 5-9 | 2 |
| მიონხენგლ. (9) | 4 | 1 | 0 | 3 | 4-9 | 2 |
| დინამო (15) | 4 | 0 | 2 | 2 | 4-10 | 2 |
| შალკე (10) | 4 | 1 | 0 | 3 | 3-9 | 2 |
| ნიურნბერგი (13) | 4 | 1 | 0 | 3 | 4-12 | 2 |

# ინგლისი

ჩემპიონატში მონაწილე გუნდები კანადელ ჰოკეისტების ტემპში აგრძელებენ თამაშს და შაბათ-კვირას მორიგი, მეხუთე ტური ითამაშეს. „მანჩესტერ იუნაიტედი" ამ ტურის შემდეგაც ერთპიროვნული ლიდერია. კანტონასა და გიგზის ბრწყინვალე თამაშმა გადაწყვიტა მატჩის ბედი საუთჰემპტონში, სადაც ლიდერმა 3:1 მოიგო. უკვე მე-5 წუთზე დაწინაურმა ჩემპიონი — გიგზის პასით გოლი ლი შარპმა გაიტანა. მასპინძლებმა გაათანაბრეს (ნეილ მედისონი), მაგრამ სამი წუთის შემდეგ კანტონამ კვლავ „იუნაიტედი" დააწინაურა. მეორე ტაიმში კვლავ კანტონამ და გიგზმა გაითამაშეს კომბინაცია და ამ „ფრანგულ-უელსური" დუეტის საქმე დენის ირვინმა დაასრულა. კიდევ ერთი გუნდი — „კოვენტრი სიტი" თამაშობს წაუგებლად. მან ამჯერად „მანჩესტერ სიტისთან" ითამაშა ფრედ 1:1. როგორც წინა ნომერში ვწერდით, ხუთშაბათს „სიტიმ" მწვრთნელი პიტერ რეიდი გადააყენა. „კოვენტრისთან" მატჩის წინა დღეს დაინიშნა ახალი მწვრთნელი ბრაიან ჰორთონი, რომელიც მანამდე „ოქსფორდ იუნაიტედს" წვრთნიდა. ჩინებულ ფორმაშია არსენალელი იან რაიტი. მან საშინაო მატჩში „ევერტონთან" მარტო პირველ ტაიმში ოთხი ბურთი გააფუჭა, მაგრამ მეორეში „გამოსწორდა" და 48-ე და 78-ე წუთებზე ორი გოლი გაიტანა 2:0. 32 500 მაყურებელი ესწრებოდა „ასტონ ვილასა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მატჩს. თითქმის მთელი თამაში სტუმრები უტევდნენ, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე ლონდონელებმა თავის საჯარიმოში კევინ რიჩარდსონი წააქციეს და სტივ სტონტონმა პენალტით გაამარჯვებინა „ვილას" 1:0. 1972 წლიდან არ მოუგია „ენფილდ როუდზე" „ლიდს იუნაიტედს" და ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა. ჯერ რაშმა 25-ე წუთზე, შემდეგ კი დანიელმა მიოლბიუმ პენალტით მე-40-ზე მორიგი 3 ქულა მოუტანეს „ლივერპულს". საკვირაო მატჩში თავის პირველი გოლი ბოლო რვა თვის მანძილზე გაიტანა „ბლეკბერნის" მოთამაშე ალან შირერმა. მან გაათანაბრა ანგარიში „ნიუკასლთან" შეხვედრაში — 1:1. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „შეფილდ იუნაიტედი" — „იფსვიჩი" 1:1 (სტუმრებმა ბოლო წუთზე გაათანაბრეს), „ჩელსი" — შეფილდ უენსდეი" 1:1, „ნორვიჩი" — „სვინდონი" 0:0, „ოლდჰემი" — „უიმბლდონი" 1:1, „ვესტ ჰემი" — „ქუინზ პარკ რენჯერსი" 0:4 (ორი გოლი ლეს ფერდინანდმა გაიტანა).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩეს. იუნ (1) | 5 | 4 | 1 | 0 | 11-3 | 13 |
| ლივერპული (6) | 5 | 4 | 0 | 1 | 13-3 | 12 |
| არსენალი (10) | 5 | 4 | 0 | 1 | 6-4 | 12 |
| ნორვიჩი (3) | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| იფსვიჩი (16) | 5 | 3 | 1 | 1 | 6-2 | 10 |
| ბლეკბერნი (4) | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| კოვენტრი (15) | 5 | 2 | 3 | 0 | 10-6 | 9 |
| ევერტონი (13) | 5 | 3 | 0 | 2 | 7-5 | 9 |
| ტოტენჰემი (8) | 5 | 3 | 0 | 2 | 4-3 | 9 |
| ასტონ ვილა (2) | 5 | 2 | 2 | 1 | 8-5 | 8 |
| შეფ. იუნაიტ (14) | 5 | 2 | 1 | 2 | 8-10 | 7 |
| უიმბლდონი (12) | 5 | 1 | 3 | 1 | 7-6 | 6 |
| ქუინზ პარკი (5) | 5 | 2 | 0 | 3 | 8-10 | 6 |
| ჩელსი (11) | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| ნიუკასლი (დ) | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| ოლდჰემი (19) | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| ვესტ ჰემი (დ) | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| ლიდსი (17) | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 4 |
| საუთჰემპტ. (18) | 5 | 1 | 0 | 4 | 7-9 | 3 |
| მანჩ. სიტი (9) | 5 | 0 | 2 | 3 | 2-6 | 2 |
| შეფ. უენ (7) | 5 | 0 | 2 | 3 | 1-6 | 2 |
| სვინდონი (დ) | 5 | 0 | 1 | 4 | 2-14 | 1 |

# კადეტთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ევროპელებს და სამხრეთ ამერიკელებს მალე მართლაც რომ ადი საშიშროება ელით. აფრიკელებისგან. რა თქმა უნდა, აქ ფეხბურთზეა ლაპარაკი. 17 წლამდე ჭაბუკების მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც იაპონიაში მიმდინარეობს, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამას. მხოლოდ ორმა გუნდმა შეძლო ქვეჯგუფებში სამივე თამაშის მოგება და ორივე აფრიკიდანაა — განა და ნიგერია. განის ნაკრებმა იაპონიას და მექსიკას მესამე თამაშში იტალიაც ზედ მიაყოლა — 4:0. ნიგერიამ კი ბოლო მატჩში ავსტრალიასთან 47-ჯერ (!) დაარტყა კარში. არ დაგავიწყდეთ, რომ ავსტრალიაც მეოთხედფინალში გავიდა ქვეჯგუფიდან, სადაც თავად არგენტინის ნაკრები თამაშობდა. ჯგუფური ტურნირების შემდეგ ასეთი სიტუაცია იყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| I ჯგუფი | | | | | | |
| განა | 3 | 3 | 0 | 0 | 9-1 | 6 |
| იაპონია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 3 |
| მექსიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 2 |
| იტალია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |
| II ჯგუფი | | | | | | |
| ნიგერია | 3 | 3 | 0 | 0 | 14-0 | 6 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 1 | 7-4 | 3 |
| არგენტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 7-6 | 3 |
| კანადა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-18 | 0 |
| III ჯგუფი | | | | | | |
| ჩეხეთსლოვაკ. | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 5 |
| აშშ | 3 | 1 | 1 | 1 | 8-5 | 3 |
| კოლუმბია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 2 |
| ყატარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 2 |
| IV ჯგუფი | | | | | | |
| პოლონეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-4 | 5 |
| ჩილე | 3 | 1 | 2 | 0 | 7-5 | 4 |
| ტუნისი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 2 |
| ჩინეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

კვირას მეოთხედფინალებში აფრიკელებმა კვლავ გაიმარჯვეს: ნიგერიამ მოუგო იაპონიას 2:1, ხოლო განამ ავსტრალიას 1:0. დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: პოლონეთი — აშშ 3:0, ჩილე — ჩეხეთი და სლოვაკეთი 4:1. ნახევარფინალებში ითამაშებენ განა — ჩილე და პოლონეთი — ნიგერია.

აღსანიშნავია ტურნირის მაღალი შედეგიანობა. ამის უმთავრესი მიზეზი ალბათ, ისაა, რომ ფიფა ამ ჩემპიონატზე ექსპერიმენტს ატარებს — ფეხბურთელები აუტს ფეხით აწვდიან.

გიგა კობახიძე

# სკანდალი!

მოვა მომავალი წლის გაზაფხული და საქართველოს ჩემპიონატის შედეგიანობა ერთიორად მოიმატებს. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, როცა ბოლო ტურებში უმრავლესობა მატჩები 6:5, 4:3, 5:5 და ასეთი ყაიდის ანგარიშით მთავრდება. წელს, ალბათ, „გოლთა ცვენა" ზამთრისკენაც გადმოიწევს, როცა ფინალური ხუთეულები იქნება გასარკვევი. არავისთვის არაა უცნობი, თუ რა მიზეზით ხდება ეს — ხან ერთ გუნდს სჭირდება ქულები, ხან მეორეს, ხან კი ბომბარდირად ჰყავთ ვინმე გასაყვანი. ასეთი რამ მარტო ჩვენში როდი ხდება — საფეხბურთო სკანდალები მუდმივი თანამგზავრია ნორმალური ქვეყნებისაც კი, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, იქაური პრესა და რაც მთავარია, საფეხბურთო გაერთიანებები უცბად სტივ ვანდერს არ ემსგავსებიან — არაფერი მსგავსი არ შეგვინიშნავსო.

წელს გაზაფხულს ზოგიერთი ევროპული ქვეყნის საფეხბურთო სეზონის დამთავრება „დიდი მაიმუნობით" აღინიშნა, თავად ჩემპიონთა თასის მფლობელი მარსელის „ოლიმპიკიც" კი გამოიჭირეს ბინძურ საქმეზე. ბოლო ინფორმაციას მოგაწვდით: ხუთშაბათს საფრანგეთის პროკურატურამ თხოვნით მიმართა საფეხბურთო ლიგას, რათა მან ჯერჯერობით თავი შეიკავოს სპორტული სანქციებისაგან, რადგან ამან შეიძლება გამოძიებაზე არასასურველი გავლენა მოახდინოს. „მარსელის" ჩემპიონთა თასის წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობის საკითხი 6 სექტემბერს გაირკვევა უეფას აღმასკომის სხდომაზე. პოლონეთში სეზონის ფინიში საეჭვო შედეგებით აღინიშნა. ჩემპიონობის მაძიებელმა ორმა კლუბმა ბოლო ტურში ერთმანეთის ჯიბრზე „საუცხოოდ" ითამაშა და დიდი ანგარიშითაც დაამარცხეს მეტოქეები: „ლეგიამ" „ვისლა" 6:0, ლ.კ.ს.-მ კი „ოლიმპია" 7:1. საბოლოოდ „ლეგიამ" გაასწრო კონკურენტს და ჩემპიონობაც მოიპოვა, მაგრამ... ფეხბურთის ფედერაციამ მატჩების ვიდეოფირის ნახვის შემდეგ დაადგინა, რომ ორივე გუნდმა იყიდა თამაშები და ამიტომაც მათ ჩამოერთვათ ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის ტიტულები, თუმცა ამ დასკვნამდე ფედერაცია მოგვიანებით მივიდა. თავიდან კი საქმე ასე ვითარდებოდა: უხვგოლიანი მატჩების მეორე დღესვე ფედერაციამ ოთხივე გუნდი 500-500 მილიონი ზლოტით დააჯარიმა, რადგანაც „მათ პრესას და გულშემატკივრებს ეჭვიანობის საბაბი მისცეს", აგრეთვე მიიღეს დადგენილება, რომ ამიერიდან ერთნაირი ქულების მქონე გუნდები დამატებით მატჩში გაარკვევენ პირველობის ბედს. რაც შეეხება ჩემპიონატის შედეგებს, იგი ფედერაციამ უცვლელი დატოვა. და აი აქ საქმეში პრესა ჩაერია. გაზეთი „ZYCIE WARSZAWY" წერდა: „ამ დაჯარიმებებით ფედერაციამ გვიჩვენა, რომ მიხვდა კორუფციის არსებობას. თუ ასეა, მას სხვა, უფრო მკაცრი სასჯელი უნდა გამოეტანა... ფედერაციას შანსი ჰქონდა განეკურნა პოლონური ფეხბურთი, მაგრამ მან მხოლოდ კოსმეტიკური შელამაზების ხერხს მიმართა". პოლონეთში პრესას, ალბათ, უფრო დიდად აფასებენ, ვიდრე ჩვენში და ფედერაციაც იძულებული გახდა გადაეხედა საქმისთვის და მხოლოდ „მეორე კითხვით" მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება და თან ისეთი რამ დააყოლა, არავინ რომ ელოდა: უეფას სთხოვა, ეს ორი გუნდი ევროტურნირებიდან მოეხსნიო. ასეც მოხდა.

პოლონეთი პოლონეთად, მაგრამ იტალიაში ხომ ყოველწლიურად რომ რაიმე საეჭვო არ აღმოჩნდეს, არ იქნება. როგორც „WORLD SOCCER" წერს, ყველა, ვინც შარშანდელ სეზონში „მილანისა" და „ბრეშიას" მატჩი (1:1) ნახა, დარწმუნებულია, რომ ის ჩაწყობილი იყო.

ფეხბურთის სამშობლოში ჩაწყობილ თამაშებს ნაკლებად წააწყდებით, მაგრამ აქ სხვა პრობლემა აქვთ გადასაჭრელი. წლების განმავლობაში ინგლისურ ფეხბურთში ჭორაობენ იმის თაობაზე, რომ ტრანსფერის თანხიდან მწვრთნელებსა და მოთამაშეებს ფარული წილი რჩებათ. წლეულს პირველი ასეთი საქმე აღიძრა სასამართლოში — ცნობილ მწვრთნელს ტერი ვენეიბლსს ბრალი ედება, რომ „თავისი წილი" ნაღდ ფულში მოითხოვა. არ დაახანა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ, რომელმაც ტრანსფერების ბაზრის ფინანსური მაქინაციების გამოძიების განკარგულება გასცა. მან იმედი აქვს, რომ საგამოძიებო საქმეთა თავმჯდომარე გრემ კელი ყველაფერს გამოიკვლევს.

ამ მაგალითების შემდეგ რაღა გასაკვირია, ასეთი ამბები თურქეთშიც ხდებოდეს. აქ საქმე შემდეგში იყო. „ბეშიქთაშმა" და „გალათასარაიმ" გასული სეზონის ბოლოს თანაბარი ქულებით მიაღწიეს. ყველაფერს ბურთების სხვაობა გადასწყვეტდა. „ბეშიქთაში" შინ „გენჩლერბირლიგის" ეთამაშებოდა, ორგოლიანი უპირატესობის მქონე „გალათასარაი" კი — „ანკარაგიუჯუს", ოღონდ გასვლაზე. „ბეშიქთაშმა" 3:1 მოიგო, „გალათასარაიმ", ემანდ მეტოქე არ წამოეწიოსო — 8:0. გაზეთებმა ბრალი ანკარელთა იუგოსლაველ მეკარე რადე ზალადს დასდეს — 40 ათასი დოლარი აიღო ქრთამადო. თავად მეკარე გაქრა. როგორც მისმა მეზობლებმა თქვეს, მან თურქეთი დატოვა და შინისკენ გასწიაო. წადი და ეძებე ახლა მექრთამე მეკარე იმ ბათქა-ბუთქში...

როგორც „უორლდ სოკერის" რედაქტორი კეირ რადნიჯი ამბობს, „არაფერია ამქვეყნად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ხალხის ნდობა ფეხბურთის სამყაროსადმი".

ზურაბ მეძველია

# იტალია

I ტური. „პიაჩენცა" — „ტორინო" 0:3, „ნაპოლი" — „სამპდორია" 1:2, „ლეჩე" — „მილანი" 0:1, „ლაციო" — „ფოჯა" 0:0, „ატალანტა" — „კალიარი" 5:2, „ჯენოა" — „რომა" 2:0, „ინტერი" — „რეჯანა" 2:1, „იუვენტუსი" — „კრემონეზე" 1:0, „უდინეზე" — „პარმა" 0:1.

# „უილიამსი“ ჩემპიონობას ზეიმობს

როგორი საქები ეპითეტებით არ ამკობენ ბრაზილიელ პილოტს აირტონ სენას — „ჯადოქარი“, „წვიმის კაცი“, „სტარტის მეფე“... გუშინწინ, ბელგიის „დიდი პრიზის“ გათამაშებისას მან კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თავისი უზადო ოსტატობა. სტარტზე მისი „მაკლარენი“ მხოლოდ მეხუთე ადგა ალენ პროსტის, დეიმონ ჰილის, მიხაელ შუმახერისა და ჟან ალეზის ბოლიდების შემდეგ. მაგრამ მწვანე შუქნიშნის ანთებისთანავე „ჯადოქარი“ ბრწყინვალე რეაქციის წყალობით ისე სწრაფად მოწყდა ადგილს, რომ უზუსტესი მანევრით თავიდანვე ზედიზედ სამ მეტოქეს აუარა გვერდი და წინ წასული პროსტის „უილიამსს“ ჩაუდგა კვალში. მაგრამ, დიდი ბრძოლის ფასად მოპოვებული მეორე პოზიცია, სენამ, თავისი ბოლიდის ძრავის სისუსტის გამო თვალის დახამხამებაში დაკარგა. უკვე მეორე წრეზე ერთ-ერთი გრძელი, სწორი მონაკვეთის გავლისას ჰილმა ადვილად აღადგინა სტატუს-კვო.



დეიმონ ჰილი

(დიდი ბრიტანეთი)

დაიბადა 1962 წლის 17 სექტემბერს ლონდონში.

სიმაღლე 183 სმ, წონა 72 კგ.

ჰყავს მეუღლე ჯორჯია და ორი ვაჟიშვილი — ოლივერი და ჯოშუა.

თავად დეიმონის თქმით, მას ძალიან მოსწონს ბელგიის ჩქაროსნული ტრასა. ეს არცაა გასაკვირი, 6 წლის წინ მან ერთხელ უკვე მოიგო იქ რბოლა ფორმულა-3 კლასში.

რბოლის შემდეგ ჰილმა ისიც თქვა, ეს მოგება მთელი ჩემი ოჯახის გამარჯვებააო. დეიმონი ალმერთებს თავის ოჯახს და ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად თვლის ჯორჯიაზე ქორწინებას. მისი მთავარი ოცნებაა მსოფლიოს ჩემპიონობა. ზედიზედ ორი მოგებული „გრან-პრის“ შემდეგ მას უკვე აქვს ასეთი განცხადების გაკეთების უფლება.

დებიუტანტის კვალობაზე ჰილს ურიგო გასამრჯელო როდი აქვს — ნახევარი მილიონი დოლარი. თუკი ასე გააგრძელებს, ცხადია, გაისად მისი ხელფასი გაცილებით მოიმატებს. შედარებისთვის ვიტყვით, რომ მის თანაგუნდელს ალენ პროსტს ფრენკ უილიამსი წელიწადში 16 მილიონს უხდის.

სპაში გამარჯვება ყველაზე მეტად ალბათ, ბელგიელ ტიერი ბუტსენს ეწადა. მაგრამ, მისდა საუბედუროდ, პირველივე წრეზე უმტყუნა „ჯორდანის“ ძრავამ და 36 წლის პილოტმა ამჯერადაც, უკვე მეთერთმეტედ, უსახელოდ დაასრულა რბოლა მშობლიურ ტრასაზე.

აღსანიშნავია, რომ „ფორმულის““ ტრასებიდან ეს ისედაც ყველაზე გრძელი, 6940 მეტრიანი საკმაოდ რთული წრე წლეულს უფრო გართულდა ორი 90 გრადუსიანი მოსახვევის დამატებით, თან 34 მეტრითაც დაგრძელდა.

ისევ გამოუვალ ჩიხში იმყოფება ერთ დროს უძლეველი „ფერარი“. გუნდის ხელმძღვანელობამ რა არ მოიმოქმედა უსაშველოდ გაჭიანურებული, სამწლიანი კრიზისის დასაძლევად, მაგრამ უშედეგოდ. ორი კვირის წინ „ჰუნგარორინგზე“ გერჰარდ ბერგერის მესამე ადგილმა გულშემატკივრებს გარკვეული იმედი ჩაუსახა. თანაც, გუშინწინდელი რბოლისთვის ძრავაში კონსტრუქციული სიახლეების შეტანაც მოასწრეს, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. სტარტიდან სულ რაღაც ხუთიოდე წუთის შემდეგ ჟან ალეზიმ ბოქსებში შეუხვია და გულდაწყვეტილი გადმოვიდა მანქანიდან. ბერგერი ფინიშამდე კი მივიდა, მაგრამ ვერაფრით გამოიჩინა თავი.

სამაგიეროდ, პროსტისა და ჰილის „საათივით აწყობილი“ „უილიამსები“ სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ მთავარ მდევრებს — სენასა და შუმახერს. ეს უკანასკნელი შარშანდელი ტრიუმფის გასამეორებლად არც თავს ზოგავდა და არც მანქანას. მთელი გზის მესამედის გავლის შემდეგ თითქმის ყველამ შეცვალა საბურავები, გერმანელი კი ჯიუტად განაგრძობდა ბრძოლას. ზოგი უკვე მეორედ ცვლიდა საბურავებს, როცა 28-ე წრეზე შუმახერიც შევიდა ბოქსებში ამ აუცილებელი პროცედურის შესასრულებლად. იმ დღეს „ბენეტონის“ მექანიკოსებმა ყველას აჯობეს — შუმახერი მხოლოდ 6,14 წამით დაყოვნდა ბოქსებში, რამდენიმე წრით ადრე კი მათ რიკარდო პატრეზეს უფრო მარდად, ლამის სარეკორდო დროში (4,75 წამი) აღმოუჩინეს დახმარება.

ერთ რამედ ღირს ტრასაზე პროსტის ცქერა. 38 წლის „პროფესორი“ მართლაც დიდოსტატურად გადის ნებისმიერი სირთულის მონაკვეთს და ყოველ მოსახვევში მისხალ-მისხალ „აგროვებს“ წამის მეასედებს, რაც ფინიშზე უზარმაზარ უპირატესობაში გამოიხატება ხოლმე. ახლაც ასე იყო და პროსტის ლიდერობასაც თითქოს არაფერი ემუქრებოდა. ამიტომ იგი გულდამშვიდებით შევიდა მეორედ ბოქსებში, მაგრამ უკვე მერამდენედ, იგი საკუთარი მექანიკოსების „მსხვერპლი გახდა“. მათ 9 წამზე მეტი მოანდომეს 4 საბურავის შეცვლას და ტრასაზე დაბრუნებულმა ალენმა თვალიღა გააყოლა თანაგუნდელს, რომელმაც ტყვიასავით ჩაუქროლა. მალე კი მას ყოველთვის აგრესიულმა შუმახერმაც გაასწრო.

ფინიშამდე საკმაო გზა იყო გასავლელი, მაგრამ ჰილმა მდევართა ყველა შეტევა წარმატებით მოიგერია და სამეულმაც ამავე თანმიმდევრობით დაასრულა რბოლა. პროსტი უკმაყოფილო კი იყო მესამე ადგილით, მაგრამ სანუგეშოდ ის დარჩა, რომ ამჯერადაც მოახერხა ტრასის რეკორდის გაუმჯობესება — ბოლოსწინა წრე 225,99 კმ-სთ სიჩქარით გაიქროლა. თანაც ბელგიაში მოპოვებული ოთხი ქულით უფრო დაუახლოვდა მთავარ მიზანს.



ფრენკ უილიამსი

ჰილმა ზედიზედ მეორე რბოლის მოგებით თითქმის მინიმუმამდე შეამცირა სენასთან ქულათა სხვაობა. ბრაზილიელმა, თუ კიდევ აქვს ჩემპიონობის იმედი, აუცილებლად უნდა მოიგოს მომდევნო ეტაპი ორი კვირის შემდეგ იტალიაში.

ჰილის გამარჯვებით კი ორმაგად გაიხარა „უილიამსის“ მეგობრულმა გუნდმა: ფინიშამდე ოთხი რბოლით ადრე ისინი უკვე მიუწვდომელები არიან კონსტრუქტორთა პირველობაში. „უილიამსი“ მეექვსედ გახდა უძლიერესი. უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ „ფერარის“ (8), „ლოტუსსა“ (7) და „მაკლარენს“ (7) აქვს. გუნდი 1969 წელს შექმნა „ფორმულის“ ყოფილმა პილოტმა ფრენკ უილიამსმა. დებიუტი 1973 წელს არგენტინაში შედგა. „უილიამსის“ ბოლიდით პირველი „დიდი პრიზი“ შვეიცარიელმა კლეი რეგაცონიმ მოიპოვა 1979 წელს ინგლისში. სულ მოგებული აქვთ 70 „გრან-პრი“. კონსტრუქტორთა პირველობაში „უილიამსმა“ გაიმარჯვა 1980, 81, 86, 87, 92, 93 წლებში.

გია ახალაძე

ბელგიის „გრან-პრის“ შედეგები (44 წრე, საერთო სიგრძე 306,856 კმ). საუკეთესო შედეგი 1 წრეზე (6974 მ) აჩვენა ალენ პროსტმა — 225,99 კმ-სთ.

1. დეიმონ ჰილი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი“) — 1:24.32,124; 2. მიხაელ შუმახერი (გერმანია, „ბენეტონი“) — ჩამორჩა 3,668 წამით; 3. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „უილიამსი“) — 14,988 წამით; 4. აირტონ სენა (ბრაზილია „მაკლარენი“) — 1 წთ, 39,763 წამით; 5. ჯონი ჰერბერთი (დიდი ბრიტანეთი, „ლოტუსი“) — 1 წრით; 6. რიკარდო პატრეზე (იტალია, „ბენეტონი“) — 1 წრით; 7. მარტინ ბრანდლი (დიდი ბრიტანეთი „ლიჟიე“); 8. მაიკლ ანდრეტი (აშშ, „მაკლარენი“); 9. იურკი იარვი ლეჰტო (ფინეთი, „ზაუბერი“); 10. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“); 11. მარკ ბლანდელი (დიდი ბრიტანეთი, „ლიჟიე“); 12. ფილიპ ალიო (საფრანგეთი, „ლარუსი“); 13. ლუკა ბადოერი (იტალია, „ლოლა“); 14. მიკელე ალბორეტო (იტალია, „ლოლა“); 15. იუკიო კატაიამა (იაპონია, „ტირელი“). დანარჩენმა პილოტებმა რბოლა ვერ დაამთავრეს.

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. „უილიამსი“ — 129; 2. „ბენეტონი“ — 60; 3. „მაკლარენი“ — 56; 4. „ლიჟიე“ — 21; 5. „ფერარი“ — 14; 6. „ლოტუსი“ — 12; 7. „მინარდი“ — 7; 8. „ზაუბერი“ — 7; 9. „ფუტუორკი“ — 4; 10. „ლარუსი“ — 2.



| | | სამხ. აფრიკა | ბრაზილია | ევროპა | სან მარინო | ესპანეთი | მონაკო | კანადა | საფრანგეთი | დ. ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | პორტუგალია | იაპონია | ავსტრალია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალენ პროსტი „უილიამსი“ საფრანგეთი | 10 | | 4 | 10 | 10 | 3 | 10 | 10 | 10 | 10 | | 4 | | | | | 81 |
| 2 | აირტონ სენა „მაკლარენი“ ბრაზილია | 6 | 10 | 10 | | 6 | 10 | | 3 | 2 | 3 | | 3 | | | | | 53 |
| 3 | დეიმონ ჰილი „უილიამსი“ დიდი ბრიტანეთი | | 6 | 6 | | | 6 | 4 | 6 | | | 10 | 10 | | | | | 48 |
| 4 | მიხაელ შუმახერი „ბენეტონი“ გერმანია | | 4 | | 6 | 4 | | 6 | 4 | 6 | 6 | | 6 | | | | | 42 |
| 5 | რიკარდო პატრეზე „ბენეტონი“ იტალია | | | 2 | | 3 | | | | 4 | 2 | 6 | 1 | | | | | 18 |
| 6 | მარტინ ბრანდლი „ლიჟიე“ დიდი ბრიტანეთი | | | | 4 | | 1 | 2 | 2 | | | 2 | | | | | | 11 |
| 6 | ჯონი ჰერბერთი „ლოტუსი“ დიდი ბრიტანეთი | | 3 | 3 | | | | | | 3 | | | 2 | | | | | 11 |
| 8 | მარკ ბლანდელი „ლიჟიე“ დიდი ბრიტანეთი | 4 | 2 | | | | | | | | 4 | | | | | | | 10 |
| 8 | გერჰარდ ბერგერი „ფერარი“ ავსტრია | 1 | | | | 1 | | 3 | | | 1 | 4 | | | | | | 10 |
| 10 | იურკი იარვი ლეჰტო „ზაუბერი“ ფინეთი | 2 | | | 3 | | | | | | | | | | | | | 5 |
| 10 | კრისტიან ფიტიპალდი „მინარდი“ ბრაზილია | 3 | | | | | 2 | | | | | | | | | | | 5 |



ტრადიციულად, აგვისტოს ბოლო ორშაბათს ნიუ-იორკში სტარტი აიღო აშშ-ის ღია ჩემპიონატმა ჩოგბურთში. ეს ასპარეზობა „დიდი სლემის“ ოთხი ტურნირიდან ერთ-ერთი უძველესია — წლეულს 113-ედ ტარდება. ოდნავ უფრო „ხანდაზმულია“ უიმბლდონის ტურნირი, რომელიც პირველად 1877 წელს მოეწყო. სწორედ ამ უცხო ხილით დაინტერესებულმა ამერიკელებმა მათთვის ჩვეული ენთუზიაზმით აიტაცეს სიახლე და უკვე ოთხი წლის თავზე თავისი ქვეყნის პირველობაც გამართეს იმხანად ერთობ პოპულარულ, შეძლებულ თანამემამულეთა დროს სატარებელ კურორტ ნიუპორტში. კლუბ „კაზინოს“ ბალახის კორტები 25 წელი უწევდა მასპინძლობას ჩემპიონატს. 1915 წლიდან შეჯიბრება ნიუ-იორკში, ფორესტ-ჰილსში „გადასახლდა“, სადაც ექვსი ათეული წელი თავს იყრიდნენ მსოფლიოს წამყვანი ოსტატები. ოციან წლებში პირველობა სამჯერ ფილადელფიასაც „ესტუმრა“.

15 წლის წინათ, საკმაოდ მოძველებული ფორესტ-ჰილსის კომპლექსი, რომელიც ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ ორგანიზაციულ მოთხოვნებს, „ფლაშინგ მიდოუ პარკში“ გაშენებულმა ულტრათანამედროვე, 32-კორტიანმა ეროვნულმა საჩოგბურთო ცენტრმა შეცვალა. მაგრამ სპორტსმენთა საუბედუროდ, ნიუ-იორკის აუტანელ სიცხეს მეორე გასაჭირიც დაერთო: ცენტრის სიახლოვეს ლაგარდიას უდიდესი აეროპორტია და ერთი ხანობა, თვითმფრინავების აფრენა-დაჯდომის გზა ზედ კორტების თავზე გადიოდა, რაც ძალზე უშლიდა ხელს მოთამაშეებს. ქალაქის თავის, ჩოგბურთში უზომოდ შეყვარებული დევიდ დინკინსის მცდელობით ეს პრობლემა მოიხსნა და აშშ-ის ღია ჩემპიონატის დღეებში ყველა „ბოინგსა“ თუ „კონკორდს“ აეკრძალა კორტების სიახლოვეს გამოჩენა.

აღსანიშნავია, რომ პარკის ტერიტორია წინათ ქალაქის ნაგვის საყრელი იყო, შემდეგში საერთაშორისო ბაზრობათა ადგილიც, 1946-49 წლებში კი იქ გაეროს დროებითი შტაბ-ბინა იმყოფებოდა.

ამერიკის სიშორე, ბუნებრივია, აფრთხობდა ევროპელებს, რადგან იქამდე ჩაღწევა მხოლოდ გემით შეიძლებოდა. ამას კი უამრავი დრო მიჰქონდა. ამიტომ ძველი სამყაროდან მხოლოდ თითო-ოროლა მობურთალი თუ მიემგზავრებოდა ნიუ-იორკს. პირველი უცხოელი ჩემპიონის გამოჩენას მთელი 22 წელი დასჭირდა: ერთ-ერთმა ლეგენდარულ ინგლისელ ძმათაგან — ჰ. ლაური დოჰერტიმ უილიამ ლარნედი „გაანადგურა“ — 6:0, 6:3, 10:8. მას შემდეგ კიდევ 23 წელი გავიდა, ვიდრე მეორე არაამერიკელი ჩოგბურთელი გაიმარჯვებდა, კერძოდ ფრანგი „მუშკეტერი“ რენე ლაკოსტი.

50-60-იან წლებში აშკარა იყო ავსტრალიელთა უპირატესობა. 15 წლის განმავლობაში მათ მექსიკელ რაფაელ ოსუნასთან და ესპანელ მანუელ სანტანასთან ერთად მასპინძლებს მხოლოდ ერთხელ „დაუთმეს“ პირველობა.

# ნიუპორტიდან ნიუ-იორკამდე



შარშანდელი გამარჯვებული მონიკა სელეში წლეულს ტიტულს ვერ დაიცავს

„დიდი სლემის“ ტურნირებიდან სწორედ აშშ-ის ღია ჩემპიონატში მიაღწია ყველაზე დიდ წარმატებას ლეილა მესხმა. 1990 წელს იგი მეოთხედფინალშიც გავიდა, მაგრამ დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, არგენტინელ გაბრიელა საბატინისთან. ქართველი ჩოგბურთელი მომდევნო წელსაც ახლოს იყო იგივე შედეგის გამეორებასთან, მაგრამ ვერ შესძლო ამერიკელი ჯიჯი ფერნანდესის წინააღმდეგობის დაძლევა და დასთმო ორთაბრძოლა იშვიათი ანგარიშით — 6:7, 7:6, 6:7. წლევანდელ გათამაშებაში წილისყრამ ლეილას მეშვიდე ნომრად განთესილი ჯენიფერ კაპრიატი არგუნა. წყვილებში მესხის პარტნიორია მოსკოველი ევგენია მანიუკოვა. ამ წყვილმა წლეულს ლინცის ტურნირი მოიგო.

აშშ-ის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთის სამყაროში ყველაზე ძვირფასი ასპარეზობაა. მაგალითად, შარშანდელი საპრიზო ფონდი რვანახევარ მილიონზე მეტი იყო. გამარჯვებულებმა მონიკა სელეშმა (იუგოსლავია) და შვედმა სტეფან ედბერგმა ზუსტად ნახევარ-ნახევარი მილიონი მიიღეს.

სწორედ შარშანდელ გათამაშებაში დამყარდა მარათონული რეკორდი: ედბერგისა და ამერიკელი მაიკლ ჩანგის ნახევარფინალი 5 საათი და 19 წუთი გაგრძელდა და შვედის გამარჯვებით დასრულდა — 6:7, 7:5, 7:6, 5:7, 6:4.

წლეულს გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად ჯაჭვში ასახელებენ მსოფლიოს პირველ და მეორე ჩოგნებს ჯიმ კურიესა და პიტ სამპრასს (ორივე აშშ), ქალთა შორის კი ასევე პირველ ნომერს, უიმბლდონისა და საფრანგეთის წლევანდელ ჩემპიონს, გერმანელ შტეფი გრაფს.



# წარმატებებს ამრავლებენ

ავსტრიაში, ქალაქ შტოკერაუში 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგო-ბიჭების მესამე საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ასპარეზობაზე ჩავიდა 148 მოჭადრაკე, მათ შორის ხუთი საქართველოდან. ტურნირი შვეიცარული სისტემით 9 ტურად ჩატარდა.

ბრწყინვალედ იბრძოლა საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა, თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა, 16 წლის გიორგი ყაჭეიშვილმა, რომელმაც 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. დანარჩენების შედეგები ასეთია: 6-13. ფიდე-ს ოსტატი მაია ლომინეიშვილი 7 (6 მოგება, 2 ყაიმი, 1 წაგება), 14-27. ნატო ეძგვერაძე, საერთაშორისო ოსტატი აკაკი იაშვილი — 6 (6-3-0), 28-42. ფიდე-ს ოსტატი დიანა დარჩია 5,5 (5-3-1).

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გიორგი მაჭარაშვილმა გვიამბო:

— ყაჭეიშვილმა დაუმარცხებლად განვლო შეჯიბრება: შვიდი პარტია მოიგო და ორი ყაიმით დაასრულა. მან სპეციალური პრიზიც მიიღო 16 წლამდე ასაკის ყმაწვილებს შორის საუკეთესო შედეგისთვის. გიორგი ნიჭიერი და მზარდი მოჭადრაკეა. თამაშის სიბრძნეს ეუფლება ახალგაზრდულ კლუბში „ამომავალი ვარსკვლავი“ გიორგი ხომერიკის ხელმძღვანელობით. სხვათა შორის, ამ კლუბის წევრები არიან აგრეთვე ნატო ეძგვერაძე და დიანა დარჩია. საქები სიტყვები უნდა ითქვას ჩვენს გოგონებზეც, რომლებმაც ამრავლეს წარმატებები. თბილისის ჩემპიონმა მაია ლომინეიშვილმა სპეციალური პრიზი მიიღო 16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის საუკეთესო შედეგისთვის. ასეთივე პრიზით დაჯილდოვდა ნატო ეძგვერაძეც, რომელმაც 18 წლამდე ასაკის ყველა გოგონას აჯობა. „კავკასიის ბანკის“ სპორტკლუბ „ამირანის“ წევრის მაია ლომინეიშვილის მიღწევა მისი წარმატებათა სერიის გაგრძელებაა. წლეულს იგი მეორე იყო საქართველოს ქალთა ჩემპიონატში, მესამე — 16 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიოს პირველობაში. დააჭამნიკა ქალთა მსოფლიოს პირველობის ზონალური ტურნირიც. ნატო ეძგვერაძემ შარშან საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა სანკტ-პეტერბურგში მსოფლიოს ექსჩემპიონის ლ.რუდენკოს მემორიალში. მასაც კარგი მომავალი აქვს. მეტი იყო მოსალოდნელი აკაკი იაშვილისა და დიანა დარჩიასგან, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდნენ წარმატებული თამაშით.

თენგიზ ნინოშვილი

## თავისუფალი ჭიდაობა

მსოფლიოს ჩემპიონატი. ტორონტო. 27 აგვისტო
48 კგ: 1. ალექს ვილა (კუბა), 2. ვულარ ორუჯევი (ბელარუსი), 3. სუნ ენი (კორეა), 4. ილიას სუქრუდოლლუ (თურქეთი). 62 კგ: 1. ტომ ბრენდსი (აშშ), 2. ლასარო რეინოსო (კუბა), 3. რამილ ატაულინი (უზბეკეთი). 4. ისმაილ ფაიქოღლუ (თურქეთი). 82 კგ: 1. სებაპათან ოზთურქი (თურქეთი), 2. საიგიდ კატინოვასოვი (რუსეთი), 3. რუსლან კინჩაგოვი (უზბეკეთი), 4. კევინ ჯექსონი (აშშ). 130 კგ: 1. ბრიუს ბაუმგარტნერი (აშშ), 2. მერაბ ვალიევი (უკრაინა), 3. ანდრეი შუმილინი (რუსეთი), 4. ზაზა თურმანიძე (საქართველო)

## ველოსპორტი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ოსლო.
28 აგვისტო. ქალები. პირადი საგზატკეცილო რბოლა 92 კილომეტრზე 1. ლეონტიენ ვან მოორსელი (ჰოლანდია) — 2:21.20; 2. ჟანი ლონგო (საფრანგეთი) — იგივე დრო; 3. ლაურა ჩარამედა (აშშ) — ჩამორჩა 4 წამით. კაცები. 184 კმ. მოყვარულები. 1. იან ულრიხი (გერმანია) — 4:13.09; 2. კასპარს ოუჯა (ლიტვა); 3. ლიუბომ ტეზა (ჩეხეთი). 29 აგვისტო. 257,6 კმ. პროფესიონალები. 1. ლენს არმსტრონგი (აშშ), 2. მიგელ ინდურაინი (ესპანეთი), 3. ოლაფ ლიუდვიგი (გერმანია)

## ჩოგბურთი

კომაკი, ნიუ-იორკი. 23-29 VIII. „პამლეტკაპ". საპრიზო ფონდი 300 ათასი დოლარი. მეოთხედფინალები (მესამე წრე): მარკ როსე (შვეიცარია) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 6:4, 6:4; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, განთესვის ნომერი 7) — ლუის მატარი (ბრაზილია) 6:4, 6:2; სტეფან ედბერგი (შვედეთი, 1) — ალექსანდრე ვოლკოვი (რუსეთი) 2:6, 6:4, 7:6; მაიკ ჩანგი (აშშ, 5) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი, 3) 3:6, 6:1, 6:2. ნახევარფინალები: როსე — ივანიშევიჩი 6:3, 6:3; ჩანგი — ედბერგი 6:1, 6:2. ფინალი: როსე — ჩანგი 6:4, 3:6, 6:1.
სკენექტადი, ნიუ-იორკი. 23-29 VIII. საერთაშორისო შეჯიბრება. ვაჟები. საპრიზო ფონდი 200 ათასი დოლარი. მეოთხედფინალები (მესამე წრე): თომას ენკვისტი (შვედეთი) — ივან ლენდლი (აშშ, 1) 4:6, 6:3, 6:4; კარლოს კოსტა (ესპანეთი) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 7:5, 7:6; კარელ ნოვაჩეკი (ჩეხეთი, 2) — მიხაელ პერნფორსი (შვედეთი) 6:3, 7:6; ბრეტ სტივენი (ახალი ზელანდია) — ხავიერ სანჩესი (ესპანეთი, 5) 2-0. ნახევარფინალები: ენკვისტი — კოსტა 6:1, 6:4; სტივენი — ნოვაჩეკი 6:3, 6:1. ფინალი: ენკვისტი — სტივენი 4:6, 6:3, 7:6. 6:3.
ქალები. საპრიზო ფონდი 150 ათასი დოლარი. მეოთხედფინალები (მესამე წრე): ლარისა სავჩენკო-ნეილანდი (ლატვია) — იუდიტ ვიზნერი (ავსტრია, 3) 6:7, 6:3, 6:2; ნატალი ტოზია (საფრანგეთი, 1) — ჯინჯერ პელჯსონი (აშშ) 6:3, 6:3; ნატალია მედვედევა (უკრაინა) — ასა კარლსონი (შვედეთი) 6:0, 6:3; მაიკ ბაბელი (გერმანია) — ლეილა მესხი (საქართველო, 7) 7:5, 6:2. ნახევარფინალები: სავჩენკო — ტოზია 7:5, 1:6, 7:6; მედვედევა — ბაბელი 6:2, 6:3. ფინალი: სავჩენკო — მედვედევა 6:3, 7:5

## ბალახის ჰოკეი

ამსტელვეენი, ჰოლანდია. „ჩემპიონთა თასი". IV ტური. ავსტრალია — კორეა 4:0; გერმანია — ესპანეთი 3:0; ჰოლანდია — დიდი ბრიტანეთი 3:0. V ტური. ბრიტანეთი — გერმანია 2:2; კორეა — ესპანეთი 7:0. ფინალი. 29 აგვისტო. ავსტრალია — ჰოლანდია 1:1; პენალტებით 4:2



# ხელების ქნევით ცაში გაფრენა

შტუტგარტში გამართული მძლეოსნობის მსოფლიოს პირველობის შესახებ ბევრი დაიწერა. ახლა ისიც ვთქვათ, თუ საქართველოს ოთხმა წარმომადგენელმა რა შედეგს მიაღწია.

იოსებ შავერდაშვილი (უროს ტყორცნა) — 68 86 მ
ამბროსი მატიაშვილი (შუბის ტყორცნა) — 69 86 მ
მერაბ ყურაშვილი (ბირთვის კვრა) — 18 18 მ
მაია აზარაშვილი (რბენა 200 მ) — 23,33 წმ.

როგორც ხედავთ, შედეგების გასწვრივ შეჯიბრებაზე დაკავებული ადგილები მიწერილი არ არის. გასარკვევად დავუკავშირდით საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივანს გივი ჩადუნელს. ბატონმა გივიმ გვითხრა, რომ მაია აზარაშვილი მეოთხედფინალურ გარბენში მეხუთე ადგილზე გავიდა და ბრძოლას გამოეთიშა. მაია მეოთხე რომ ყოფილიყო ნახევარფინალში მოხვდებოდა. დანარჩენებმა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად საჭირო ნორმატივები ვერ შეასრულეს და ასპარეზობას იმ სტადიაში გამოეთიშნენ, როდესაც მონაწილეებს ადგილები არ მიეკუთვნებათ. გენერალურმა მდვანმა გვითხრა, ჩემი გამოთვლით, მატიაშვილი დაახლოებით 32-ე, ყურაშვილი კი 27-ე იქნებოდაო.

— რაც მთავარია — ბრძანა ბატონმა გივიმ — ჩვენმა მძლეოსნებმა დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობის გამოცდილება მიიღეს. თუ გავითვალისწინებთ რა მდგომარეობაში მყოფი ქვეყნიდან წავედით, ჩვენების მოქმედებას შეიძლება ხელების ქნევით ცაში გაფრენა ვუწოდოთ. თვალსაჩინოებისთვის ასეთ რამეს მოგიყვებით: შავერდაშვილი საქართველოში ერთადერთი უროს მტყორცნელია, შინაურ შეჯიბრებაში მსაჯი აცხადებს, სტყორცნის შავერდაშვილი, შემდეგ ემზადება შავერდაშვილი და იოსებიც ხუთი წუთის შემდეგ მეორედ სტყორცნის. შტუტგარტში, პირველი ცდის შემდეგ იგი 30 წუთი სხვათა გამოსვლებს უყურებდა, შემდეგ მეორედ სცადა და ისევ ნახევარი საათით მოუწია ცდა და ნერვიულობა. გაითვალისწინეთ, რომ შეჯიბრებას ოთხმოცდახუთი ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა, თან შავერდაშვილს პირველ დღეს მოუწია ასეთი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა. დამაკმაყოფილებელი იყო ყურაშვილის შედეგიც.

პაპუნა კედია

## საჯილდაო

ბოლო დროს მოდური გახდა მკითხველისათვისნაირგვარი ტესტისა თუ გამოცანის შეთავაზება. ჰოდა, ჩვენც ფეხი ავუწყვეთ დროებას და გადავწყვიტეთ, რომ ზედიზედ

**ცხრა კვირის განმავლობაში დაგისვათ**
**ცხრა-ცხრა შეკითხვა სპორტის**
**ცხრა სახეობის შესახებ,**

ისე, რომ კითხვები სამშაბათობით გაგაცნოთ, პასუხებით კი პარასკეობით გაგახაროთ.

მერე ჯილდო? — ალბათ იკითხავთ. ჩვენ, აბა, რას მოვალთ რეზონანსელ ძია ევგენთან? თანაც ვერც ფოსტა ან ტელეფონი მუშაობენ ისე, პასუხები დროულად და სწორად რომ მივიღოთ. ჯილდოდ კი, ჩვენი აზრით, ისიც იკმარებს, სპორტის თქვენეული ცოდნის გასინჯვა რომ შეგეძლებათ.

„გემოვნებაზე არ დაობენო", ნათქვამია. მავანს ერთი სპორტი მოსწონს, სხვას — მეორე. საკითხავად ისეთი სახეობები შევარჩიეთ, რომლებსაც „სარბიელი" გამორჩეულად სწყალობს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ გაგანია ჯილდაობაში ზოგი სახეობა სხვით შევცვალოთ.

განზრახული ასე გვაქვს — კითხვები წრეობრივად უნდა გართულდეს. პირველი წრის კითხვები უმარტივესი იყო და თითოს გამოცნობა თითო ქულად შეფასდა. მეორე წრის კითხვების გამოცნობა ორ-ორ ქულად შეაფასეთ, მესამისა — სამ-სამად და ა.შ.

ერთი სიტყვით, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

### მეორე წრე

(1) ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ბოლომ რომელმა დაიწყო ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის გამართვა? როდიდან?
(2) ვინ იყვნენ ირინა როდნინას პარტნიორები?
(3) რამდენი მოთამაშეა რაგბის გუნდში?
(4) ვინაა ვაჟი მსოფლიო რეკორდსმენი 100 მეტრზე რბენაში? რას უდრის რეკორდი?
(5) ვინ იყო ფორმულა-1-ის შარშანდელი გამარჯვებული? წელს სად ასპარეზობს?
(6) ჩოგბურთში რა შემთხვევაში ინიშნება ტაი-ბრეიკი?
(7) ვინაა ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ფრენბურთში?
(8) ვაჟ მსოფლიო ჩემპიონ მოჭადრაკეთაგან ვინ დაიბრუნა ერთი პირობა დაკარგული ტიტული?
(9) ვინ მიაწოდა ბურთი ალ. ბელოვს 1972 წლის ოლიმპიადის ფინალის ბოლო წამებზე?


# სარბიელი

# ტოტალიზატორი

# "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 500 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში, 13-დან 16 საათამდე. სასტუმრო „აჭარაში" ფსონების მიღება დროებით შეჩერებულია.

### უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 1 სექტემბერი | ლინფილდი — დინამო | | 3,0 | 1,7 | 1,8 |
| | ნორმა — პიკი | | 3,5 | 1,7 | 1,7 |
| | არაუ — ომონია | 0:2 | 2,4 | 1,6 | 2,4 |
| | შელბურნი — კარპატი | | 2,3 | 1,5 | 2,6 |
| | ჟალგირისი — კოშიცე | | 2,1 | 2,0 | 2,1 |
| | ვატენშაიდი — შტუტგარტი | | 2,0 | 2,0 | 2,3 |
| | ჰამბურგი — ლევერკუზენი | | 1,8 | 1,8 | 2,8 |
| | სტრასბური — მონაკო | | 2,0 | 2,0 | 2,3 |
| | სოშო — ოსერი | | 2,0 | 2,0 | 2,3 |
| 4 სექტემბერი | ლევერკუზენი — კიოლნი | 0:1 | 2,3 | 1,5 | 2,8 |
| | ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი | | 1,8 | 1,8 | 2,8 |
| | შალკე 04 — აინტრახტი | | 3,5 | 1,7 | 1,7 |
| | დუისბურგი — ბაიერნი | | 2,1 | 2,0 | 2,1 |
| | შტუტგარტი — დორტმუნდი | | 1,8 | 1,8 | 2,8 |
| 5 სექტემბერი | დრეზდენი — ბაიერნი | | 2,8 | 1,8 | 1,8 |
| | ოსასუნა — რეალ მადრიდი | | 2,3 | 2,0 | 2,0 |
| | ბარსელონა — სოსიედადი | 0:1 | 1,8 | 1,8 | 2,8 |
| | სარაგოსა — სევილია | | 1,8 | 1,8 | 2,8 |
| | ურუგვაი — ეკვადორი | 0:1 | 2,1 | 2,0 | 2,1 |
| | პერუ — პარაგვაი | | 2,1 | 2,0 | 2,1 |
| | არგენტინა — კოლუმბია | | 1,4 | 2,0 | 4,6 |

შენიშვნა: სათასო მატჩებში ჩაითვლება მატჩის ძირითადი დროის შედეგი. ევროტურნირების თამაშებზე (ლინფილდი — დინამოს გარდა) ფსონების მიღება შეწყდება სამშაბათს 16 საათზე

### წინა ტურის შედეგები:

28 აგვისტო: ლევერკუზენი — დორტმუნდი 2:1, შალკე 04 — კიოლნი 1:2, ნიურნბერგი — აინტრახტი 1:5, კაიზერსლაუტერნი — ვერდერი 2:3, სენტ-ეტიენი — ბორდო 0:0, ოსერი — ლიონი 3:2, ლე ავრი — სტრასბური 0:1, მონაკო — მარსელი 0:0. 29 აგვისტო: ატალანტა — კალიარი 5:2, ჯენოა — რომა 2:0, ლეჩე — მილანი 0:1, უდინეზე — პარმა 0:1, არგენტინა — პარაგვაი 0:0 (2), კოლუმბია — პერუ 4:0, ბრაზილია — ბოლივია 6:0. ფორმულა-1: 1. პილი 2. შუმახერი, 3. პროსტი



# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «ლომბარდი»

თბილისი, ჯიქიას ქუჩა, 8



იყიდება VOLVO 740 GL. დარეკეთ: 38 11 14 (დღისით), 29 43 49 (საღამოს)



კომერციული ბანკი Commercial Bank MB

მინაგობანკი MINAGOBANK

სასტუმრო „აჭარა" ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ერთი ოქრო სრულყოფილებამდე

**ბოლო რამდენიმე წელიწადია, ქართველებს ნერვიულობა არ გვაკლია, მაგრამ ნერვიულობაც თუ სხვადასხვაგვარი იყო, ბევრმა არ იცოდა. შარშან, პირველ აგვისტოს კახი კახიაშვილის მიერ ოლიმპიური ოქროს მოპოვების შესახებ, თუ არ ვცდები, რუსეთის არხმა კი გადასცა ინფორმაცია, მაგრამ „ოსტანკინოს" არაფერი უთქვამს, ისე ჩართო ძალოსანთა შეჯიბრების ვიდეოჩანაწერი. ამგვარად, სპორტის მოყვარულთა უმრავლესობისთვის წინასწარ არაფერი იყო ცნობილი, ისე ადევნებდა თვალყურს 90 კგ წონით კატეგორიაში დაძაბულ ასპარეზობას. სწორედ მაშინ გაგვახსენდა, თუ რას ნიშნავს სხვანაირი ნერვიულობა. იმ წუთებში ყველანი ჩვენი ყოველდღიური გასაჭირისგან შორს ვიყავით და დიდ სპორტულ წარმატებას ვზეიმობდით.**



**— კახი, საუბარი დაბადებიდან დავიწყოთ...**

— დავიბადე 1969 წლის 13 ივლისს ცხინვალში. დავამთავრე ქალაქის მე-6 საშუალო სკოლა. ძალოსნობაში ვარჯიში 82-ში დავიწყე. მანამდე ფეხბურთზე, ტანვარჯიშზე და ჭადრაკზე დავდიოდი. ფეხბურთის თამაშის დროს ფეხი მოვიტეხე და ვარჯიშს შევეშვი. ერთხელ, ეზოში ვთამაშობდი, როდესაც ჩვენმა მეზობელმა ვანო გრიქუროვმა მომიხმო და თავისთან, ძალოსნობის სექციაში შემომთავაზა ვარჯიში. მეორე დღესვე მივედი და პირველი სიმძიმე, რომელიც დავძლიე ოცდაორნახევარი კილოგრამი იყო. მაშინ 40 კილოც არ ვიყავი. დავიწყე რეგულარული ვარჯიში. შედეგს სწრაფად ვაუმჯობესებდი და მალე საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე მეორე ადგილი დავიკავე. 86-ში საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში მოვხვდი (იმ წელიწადს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცხინვალის ფილიალშიც ჩავაბარე), მაგრამ მას შემდეგ შეკრებების და შეჯიბრებების გამო ჩემს ქალაქში გადაბმით ერთი წელიწადიც არ ვყოფილვარ.

**— თბილისში როდის გადმოხვედი?**

— 91-ის იანვარში, როდესაც ცხინვალის ქუჩებში უკვე სროლა ისმოდა. თბილისში, ბიძასთან ჩამოვედი და აქ გავაგრძელე ვარჯიში.

**— მაშინ, უკვე ტიტულოვანი ძალოსანი იყავი...**

— სკოლაში სწავლის დროსუკვე პროფესიონალი ვიყავი, იმ აზრით, რომ ცხოვრებაში მეტწილ ყურადღებას ძალოსნობას ვაქცევდი. რაც შეეხება ჩემს მაშინდელ ტიტულებს, ოლიმპიადამდე ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, დიდებში ევროპის ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვიყავი.

**— ესე იგი, როდესაც შეიტყვე, რომ ბარსელონაში მიემგზავრებოდი, აქ შენთვის მოულოდნელი არაფერი იყო.**

— ნახევარი წლით ადრე ვიცოდი, რომ ოლიმპიადაზე მივდიოდი. ბარსელონამდე შვიდი მაღალი რანგის შეჯიბრება მოვიგე. სხვანაირად იქ გამგზავრება გამიჭირდებოდა. იმხანად, ანუ ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე, როსტოვში ვცხოვრობდი. საქართველოს სპორტსმენებს აკრძალული ჰქონდათ საკავშირო შეჯიბრებებზე გამოსვლა. ბევრი შემთხვევა ვიცი, როდესაც ტურნირზე წასულები უკან დააბრუნეს. ასეთ მდგომარეობაში სპორტსმენი დიდხანს ვერ გაძლებს. ბევრმა სპორტს თავი დაანება, ბევრმაც უმოქმედობის შემდეგ მაღალ შედეგს ვეღარ მიაღწია. როსტოვში ერთი წელი დავყავი და ყველა შეჯიბრებაში მივიღე მონაწილეობა, ოღონდ რუსეთის სახელით. როსტოვში წასასვლელად კიდევ იმან მიბიძგა, რომ სერიოზული ტრავმა მქონდა. მართალია, უკვე გამოჯანმრთელების გზაზე ვიყავი, მაგრამ საქართველოში ეტყობა „ჩამომწერეს" და აღარც ხელფასს მიხდიდნენ, აღარც სტიპენდიას.

**— მაინცდამაინც როსტოვი რატომ აირჩიე?**

— როსტოვში ჯარში ვმსახურობდი. უფრო სწორედ იქაურ სპორტულ კლუბში ვირიცხებოდი, თორემ აქტიური სამხედრო წვრთნა არ გამივლია. როდესაც გამიჭირდა, ჩავედი და ავუხსენი ჩემი მდგომარეობა. ისინიც დამეხმარნენ. ჩემი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი ყველგან თან მახლდა. როსტოვში რომ წავედი, მოკიდა თავის ოთხ შვილს ხელი და ბავშვებიანად წამოვიდა. ის რომ არა, დღეს ასეთი მიღწევები არ მექნებოდა.

**— შემდეგ?**

— ამასობაში შედგა სნგ-ს და საქართველოს სპორტულ დელეგაციათა მოლაპარაკება და გადაწყდა, რომ ქართველი სპორტსმენები გაერთიანებულ გუნდთან ერთად გაემგზავრებოდნენ ბარსელონას, ოღონდ თავისი დროშით. მეც ბუნებრივია ჩვენს გუნდს შევუერთდი.

**— რომ არ შემდგარიყო მოლაპარაკება, რუსეთის სახელით იასპარეზებდი?**

— რუსეთის, უკრაინის, სომხეთის... ქართველი სპორტსმენებისთვის ძალიან მძიმე დრო იყო.

**— დარწმუნებული იყავი, რომ მედლით დაბრუნდებოდი?**

— რომელიმე მედალს რომ მოვიპოვებდი, ვიცოდი. გაერთიანებულ გუნდში პირველ ნომრად ვიყავი შეყვანილი, მაგრამ შეჯიბრებაზე ყველაფერი ხდება. ჩემი მეტოქეები სერგეი სირცოვი და პოლონელი სერგიუშ ვოლჩანიეცკი ძლიერები იყვნენ... თუმცა, ალბათ ჩემზე ოდნავ სუსტები.

**— და შენ ოქროს მედალი მოიპოვე. გამოგცვალა ოლიმპიურმა ჩემპიონობამ?**

— მე როგორიც ვიყავი, ისეთი დავრჩი. ჩემს მიმართ დამოკიდებულება კი შეიცვალა. ოლიმპიადის შემდეგ როგორც ნაცნობებისგან ისე უცნობებისგან მეტ ყურადღებას ვგრძნობ.

**— კარგია ყურადღების ცენტრში ყოფნა?**

— თავისი პლიუსები და მინუსები აქვს...

**— დროებით ისევ სპორტს დავუბრუნდეთ. შეჯიბრების დროს რამდენად მნიშვნელოვანია ტექნიკა და რამდენად ფსიქოლოგიური მომენტი?**

— პირველ რიგში, კაცს თუ ძალა არ ერჩის, ისე სიმძიმეს ვერ აწევს. ამის შემდეგ მთავარია ტექნიკა და სისწრაფე. სწორედ ამ კომპონენტებზე ბავშვობიდან ამახვილებენ ყურადღებას. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ მომენტს, იგი ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზე იჩენს თავს. ფსიქოლოგიურად სუსტი ძალოსანი წააგებს. ჩვენს სახეობაში ყველაფერი ორ წამში წყდება და ამ ორი წამისთვის მოსამზადებლად წუთნახევარს გვაძლევენ. ეს ის წუთნახევარია, როდესაც სრულ მობილიზაციას უნდა მიაღწიო. იმ მომენტის მიგნებას, როდესაც მოძრაობა უნდა დაიწყო, ჩვენ „წერტილის დაჭერას" ვუწოდებთ, რაც არც ისე იოლია. გარდა ამისა, შეჯიბრებაზე ხომ ჯერ შენს წინ მოასპარეზეს ელოდები. მისი შედეგის მიხედვით იგებ, თუ რა წონა გაქვს დასაძლევი. ბარსელონაში მსოფლიოს რეკორდის ტოლ სიმძიმესთან მომიწია მისვლა. ფიზიკურად მზად ვიყავი მის დასაძლევად, დიდად მონდომებულიც გახლდით. მოძრაობა ზუსტად შევასრულე და გავიმარჯვე. თან დარბაზის მხარდაჭერასაც ვგრძნობდი.

**— ქართველების?**

— ყველას. რატომ მიჭერდნენ მხარს, არ ვიცი. ალბათ იგრძნეს, ალექსეევი ჩემს დაქვეითებას რომ ცდილობდა. მან ხომ თავიდან ატაცში, მწვრთნელების მიერ შეკვეთილ 175 კილოგრამისთვის მთავარი მწვრთნელის უფლებით ხუთი კილოგრამი დააკლებინა. მართალია, სამივე მისვლა გამოვიყენე, მაგრამ სირცოვმა 12,5 კილოგრამით გამასწრო. ასეთი სხვაობის გაბათილება საკმაოდ ძნელი იყო.

**— კახი, არასოდეს გიფიქრია, რომ ერთ დღეს შეიძლება ფორმა დაკარგო და...**

— ეგ ყოველდღე შეიძლება მოხდეს. შეიძლება მანქანა დაგეჯახოს, ან ფეხი მოგტყდეს. ძალოსნობაში ტრავმები იშვიათია, მაგრამ თუ ხდება — სერიოზული. კუნთის გაწყვეტა, მოტეხილობა და სხვა. ისე, როდესაც ძალიან დაღლილი ან გულგატეხილი ვყოფილვარ, მიფიქრია, სპორტს საერთოდ მივატოვებ-მეთქი, მაგრამ მეცვლებოდა ეს აზრი.

**— შენ, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი, მატერიალურად თუ ხარ უზრუნველყოფილი?**

— ბინა არ მაქვს. უფრო სწორად, ორდერი მაქვს საბურთალოზე, ფანასკერტელის ქუჩაზე, მაგრამ სადავო ბინაა, შიგ ხალხია შეჭრილი და უკვე წელიწადია, კომისიის გადაწყვეტილებას ველი. საერთოდ, მატერიალური უზრუნველყოფა შედარებითია. უცხოელებს არც უნდა შევედაროთ. ჩვენთან ოლიმპიური ჩემპიონისთვის განკუთვნილი პრემია 5 ათასი დოლარი იყო. ეს თანხა, მაგალითად, გერმანიაში თვიური ხელფასია. პრემიები კი მილიონი, მილიონნახევარი აქვთ.

**— უცხოური კლუბები არ გიწვევენ?**

— მიწვევენ კლუბებიც და ქვეყნებიც: გერმანია, საბერძნეთი, ავსტრალია. რომელიმე კლუბში შეიძლება წავიდე, მაგრამ ქვეყანაში, იქაური მოქალაქეობის მიღებით, არ ვიცი, არ ვაპირებ. საქართველოში ყველა პირობაა საიმისოდ, რომ წასვლა მოგინდეს. შეჯიბრებებზე გამგზავრება ჭირს, თანხები არ არის, საკვებზე ფული ორ დღეში იხარჯება. ახლა აქ ენთუზიასტებილა არიან.

**— ეხლა, როდესაც შენი ოლიმპიური წარმატების შემდეგ ძალოსნობის დარბაზებში ბავშვებმა დაიწყეს მისვლა...**

— მოდიან ხოლმე, მაგრამ მაინც, დღეს ხალხს სპორტისთვის არ სცალია.

**— ოჯახი გყავს?**

— უცოლშვილო ვარ.

**— მშობლები?**

— მშობლები, ცხინვალში ცხოვრობენ. დაც, თავისი ოჯახით, ცხინვალშია. თუ შეჯიბრებისთვის ვემზადები, დედა ჩამოდის ხოლმე და მეხმარება.

**— ძალოსანი რომ არ ყოფილიყავი, რა საქმიანობას მოკიდებდი ხელს?**

— არ მიფიქრია. იქნებ მაინც სპორტს გავყოლოდი, მაგალითად, ფეხბურთს. თუმცა, შეიძლება სპორტში საერთოდ არც ვყოფილიყავი.

**— რა გიტაცებს?**

— ძალიან მიყვარს ბუნებაში ყოფნა. ტყეში თვეობით შემიძლია გავიდე ახლობლებთან ერთად. უკვე დიდი ხანია, რაც ასეთ ექსკურსიაზე არ გავსულვარ. ერთი თვით სადმე რომ წავიდე, ეს დრო ჩემს სპორტულ საქმიანობას დააკლდება.

**— ბევრი მეგობარი გყავს?**

— არც ისე. მეტ-ნაკლებად ახლობელი ნაცნობები კი ძალიან ბევრი.

**— სპორტის რომელი სხვა სახეობა გიყვარს?**

— ფეხბურთი, კრივი, ჭიდაობა. განსაკუთრებით ძიუდოისტებს ვქომაგობ. თვალყურს ვადევნებ ჩოგბურთის ამბებს.

**— ფიცხი ხარ?**

— უფრო მშვიდი. იშვიათად თუ ვღიზიანდები.

**— რა გაღიზიანებს ყველაზე მეტად?**

— მოურიდებელი, აშკარა ტყუილი.

**— სვამ? ეწევი?**

— არ ვეწევი, იშვიათად ვსვამ.

**— ძალოსნობის და სხვა ძალისმიერი სახეობების წარმომადგენლები უცხოეთში ხშირად ტელე და კინოვარსკვლავები ხდებიან. წარმოგიდგენია შენი თავი ჰოლივუდში, ან თუნდაც თბილისის სტუდიაში?**

— ერთ ან ორ სარეკლამო რგოლში და ფილმში მივიღებდი მონაწილეობას. ჩემს სამუდამო საქმედ კი მსახიობობას ვერ გავიხდიდი.

**— ესე იგი, კინო გიყვარს.**

— კარგ ფილმებს დიდი სიამოვნებით ვუყურებ ხოლმე. ამ ბოლო დროს კარგი ფილმი იშვიათობაა. საქართველოს სტუდიაც ველარ არის ის, რაც იყო, არადა ქართველი მოკლემეტრაჟიანი ფილმები მსოფლიო კინემატოგრაფში უძლიერეს მოვლენად მიმაჩნია.

**— შენს რჩეულ ფილმებს ხომ არ ჩამოთვლიდი?**

— „ერთხელ ამერიკაში", „ცისფერი მთები"... ყველას ვერ ჩამოვთვლი. ძალიან მიყვარს კომედიური ჟანრის ფილმები.

**— ზევით პოპულარობაზე ვსაუბრობდით. ალბათ პრესა ხშირად გაწუხებს.**

— ბარსელონის მერე იჩენს პრესა ჩემდამი ყურადღებას.

**— დღევანდელ, ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაზე რას იტყვი?**

— ძალიან სუსტია. პირველ რიგში იმით, რომ რეპორტაჟებია ნაკლები. ძირითადად სხვების გადმოცემით იგებენ ამბებს. ამას ჟურნალ-გაზეთებზეც ვამბობ და ტელევიზიაზეც. გარდა ამისა, ნაწერში თუ გადაცემაში ჟურნალისტი უნდა ჩანდეს, საბოლოო პროდუქტი მან უნდა შექმნას. რესპონდენტის საუბარი თუ სხვა რამ ინფორმაცია მისი ნაწერების ჩონჩხი უნდა იყოს მხოლოდ.

**— ალბათ უცხოელ ჟურნალისტებსაც მრავალჯერ შეხვედრიხარ.**

— ბარსელონაში, პრეს-კონფერენციაზე ისეთი კითხვები დამისვეს, რომ გამიკვირდა, საიდან იციან ამათ ჩემზე ან საქართველოზე ამდენი რამ-მეთქი. უშუალოდ სპორტთან დაკავშირებითაც დიდი ცოდნა გამოამჟღავნეს. ნიუანსებზე მეკითხებოდნენ, რატომ ასრულებ ამა თუ იმ მოძრაობას ასე და არა სხვანაირადო და ა.შ.

**— აგროვებ იმ ჟურნალ-გაზეთებს, სადაც შენზე სწერია?**

— ცხინვალში ვაგროვებდი. ამ ბოლო დროს ველარ ვასწრებ ყველაფრის შეძენას.

**— დაუსვამთ შენთვის რაიმე, მეტისმეტად უცნაური შეკითხვა?**

— არ მაგონდება.

**— არის ხოლმე შეკითხვა, რომელსაც ელი, მაგრამ არავინ გისვამს?**

— არის. ხშირად არ უკითხავთ, თუ რა გეგმები მაქვს სამომავლოდ. ისე, ალბათ, ყოფილა, რომ უკითხავთ რასაც არ ველოდი და არ უკითხავთ, რასაც ველოდი.

**— თუ შემოუთავაზებია შენთვის რომელიმე ფირმას თავისი პროდუქციის რეკლამირება?**

— ავსტრალიაში, ნაკლებად ცნობილმა ფირმებმა შემომთავაზეს. დიდ ფირმებს კი ჯერ არ მოუკითხავთ.

**— შენ კონტრაქტზე და რეკლამაზე საუბრობ. თავად ძალოსნობა კი ჩვენში საგანგებოდ პოპულარული არ არის. აქვს თქვენს სახეობას შანსი?**

— დიახ. საქართველოში ძალოსნობა შეიძლება ძალიან პოპულარული, ვთქვათ, ძიუდოს მსგავსად პოპულარული რომ გახდეს. ჯერჯერობით შინაური შეჯიბრებები დაბალ დონეზე ტარდება. ჩვენ, სპორტსმენები, მწვრთნელები, შეძლებისდაგვარად ყველა ღონეს ვხმარობთ, მაგრამ საორგანიზაციო მხარე მოიკოჭლებს. ზოგჯერ ისე ხდება, რომ პირველობებზე გუნდები ვერ ჩამოდიან, იმიტომ, რომ ავტობუსი არ არის. საერთოდ, ბოლო ხანებში მონაწილეთა რიცხვი შემცირდა. მაღალი შედეგის მიღწევა თითო-ოროლა კაცს შეუძლია და მათი მოვლაც კი უჭირთ.

**— ნოემბერში ავსტრალიაში მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება...**

— ყოველდღე 3-4 საათს ვვარჯიშობ დარბაზში, მოედნებზე, აუზში. ამასწინათ ბორჯომში ვიყავით შეკრებაზე. ყველა ტიტული მაქვს მოპოვებული, დიდებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის გარდა. ამ შეჯიბრებაზე პირველად მივემგზავრები.

ილია ბაბუნაშვილი

გია ახალაძის ფოტოები



ოლიმპიურ ჩემპიონს ტიტულისთვის შეუფერებელ პირობებში უხდება ვარჯიში

# იააფ-ი, რაც უნდა, იმას იზამს...
## ოცი კი ოც კილო ოქროს უმიზნებს

ჩამთავრდა მძლეოსანთა მსოფლიო პირველობა და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამაც (იააფ) იქვე, შტუტგარტში მორიგი სხდომა გამართა.

გერმანიის მძლეოსანთა კავშირმა ჩემპიონატის გამო საგანგებოდ აღნიშნა, რომ მისი არნახული წარმატება ერთი-ორად გაზრდის 2000 წლის ოლიმპიადის სამასპინძლოდ ბერლინის შანსებსო, რაკილა შტუტგარტის შეჯიბრებას კიდევ ერთხელ უჩვენებია მსოფლიოსათვის სპორტული იდეალებისადმი გერმანელთა ერთგულება, ერის ორგანიზატორული ნიჭი, გულღიაობა, მიუკერძოებლობა და მისთანებიო.

სხდომამ უფრო სერიოზულ თემებზეც იმსჯელა. კერძოდ, გერმანელ სპრინტერ ქალ კატრინ კრაბეს ორი წლით გაუხანგრძლივა დისკვალიფიკაცია, რაც მას მსოფლიოს შემდეგ ჩემპიონატსაც გააცდენინებს — მძლეოსანთა მორიგი ფორუმი ხომ 1995 წელს შვედეთში, გეტებორგში უნდა შეიკრიბოს.

კრაბე თავის დროზე დობილებთან — კრის ბროიერთან და მანუელა დეერთან ერთად ანაბოლური სტეროიდის — კლენბუტეროლის გამოყენებაში ამხილეს. გერმანელთა სამეულს შეჯიბრებათაშორის პერიოდში აღებული დოპინგ-სინჯი ჩაუფლავდა, რის გამოც მთავარ დამნაშავეს — კრაბეს ოთხი წელი მიუსაჯეს.

კრაბემ იჩივლა და დისკვალიფიკაცია 12 თვემდე შეამცირებინა. ის იყო, კრაბე ასპარეზს უნდა დაბრუნებოდა, რომ იააფ-მა თავისი კანონთა წიგნი გაქექ-გამოქექა და წესდებაში მიაგნო ნომერ 53.10 მუხლს, რომლის ძალითაც ნებისმიერი მძლეოსნის დასჯა თურმე რაგინდარა საბაბით შესაძლებია.

ზემოთხსენებულ მუხლში თურმე წერია, რომ შეუფერებელი საქციელისთვის, რასაც იააფ-ისა და მძლეოსნობისათვის სახელის გატეხვა შეუძლიაო, სპორტსმენი ისე უნდა დაისაჯოს, როგორც იააფ-ი საჭიროდ მიიჩნევსო. ერთი სიტყვით, იააფ-ის ძლევამოსილება უსაზღვრო ყოფილა.

კრაბეს ეხლა გერმანიის მძლეოსანთა კავშირი ესარჩლება და საერთაშორისო არბიტრაჟში აპირებს ჩივილს.

იგივე ორგანო განიხილავს ცნობილი კენიელი კროსმენისა და სტაიერის ჯონ ნგუგის საქმეს. ნგუგიმ თავის დროზე ვითომც იუარა დოპინგ-სინჯის ჩაბარება, კენიის მძლეოსნობის ხელისუფლებმა კი საქმის არაერთი ვერსია გამოაქვეყნეს. იააფ-მა, ეტყობა, ვერაფრით გაარჩია მტყუან-მართალი და ყაბულსაჭ, არბიტრაჟს გააუქმებინოს კენიელის დისკვალიფიკაცია.

შეწყალება ითხოვა რუსმა თარჯმრბენმა ლუდმილა ნაროჟილენკომაც. მან დოპინგის გამოყენება თავის ქმარყოფილს გადააბრალა, აქაო და მშობლები დამეხოცა და მეუღლე, რომელიც იმავდროულად მწვრთნიდა, ჩემს უკითხავად საჭმელში თურმე აკრძალულ აბებს მიყრიდა, სულიერი დეპრესიისთვის რომ მეჯობნაო. იააფ-ს ნაროჟილენკოს მოსატყუებელი კბილი, ეტყობა, მოცვლილი ჰქონია; ამიტომ ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია ხელუხლებლად დაუტოვა.

აი, მანამდე კი, ჩემპიონატის დღეებში, კიდევ ორი საბჭოელყოფილი გამოიჭირეს დოპინგზე. უზბეკეთის წარმომადგენელ დმიტრი პოლიუნინს მხილება შუბის ტყორცნაში მოპოვებული ბრინჯაოს მედლის დაკარგვადაც დაუჯდა. რაც შეეხება გაჭირვებულ რუს ლილია ნურუტდინოვას, მას, ეტყობა, ქვა აღმართში მიეწია — თითქოს ის არ კმაროდა, 800 მეტრზე ფინალურ გარბენში მოზამბიკელმა მეტოქემ ბილიკზე რომ წააქცია; ნურუტდინოვა თურმე სტანოზოლოლს დასწაფებია, რისთვისაც ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია ელის.

მსოფლიო ჩემპიონატი კვირადღეს დაიხურა, უკვე სამშაბათს კი ახლადნაკურთხმა რვა ჩემპიონმა ავსტრიაში, ლინცში იასპარეზა. მეტისმეტმა დატვირთვამ, როგორც ჩანს, აწყინა ამერიკელ დენის მიტჩელს, ვინაც 100 მეტრზე რბენისას ბარძაყი გაიჭიმა და სეზონის ბოლომდე. გამოაკლდა შეჯიბრებებს. მერლინ ოტიმ (იამაიკა) 100 მეტრზე აჯობა ჰაიკე დრეხსლერს (გერმანია). სიგრძეზე ხტომა მაიკ პაუელმა (აშშ) მოიგო, 200 მეტრზე რბენა — ფრანკი ფრედრიქსმა (ნამიბია). მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ჩემპიონებს, როგორც ჩანს, სპორტული ფორმის პიკისთვის შტუტგარტში მიუღწევიათ, რის გამოც ლინცში ბევრი ვერაფრით გამოიჩინეს თავი.

ჩემპიონებს თეთრი ყვავი მაინც გამოერიათ: შვეიცარიელმა ვერნერ გიუნტორმა სეზონის საუკეთესო შედეგით — 21,98 მ მოიგო ბირთვის მკვრელთა შეჯიბრება.

უფრო საინტერესო ამბები დატრიალდა პარასკევს, 27 აგვისტოს, „ოქროს ოთხი შეჯიბრების" მესამე ეტაპზე, რომელიც ბერლინში გაიმართა. დამარცხდა ორი მსოფლიო ჩემპიონი: მოკლე სპრინტში ლინფორდ კრისტის (დიდი ბრიტანეთი) ორმა ამერიკელმა — ლეროი ბარელმა და ჯონ დრამონდმა გაუსწრო, 110 მეტრზე თარჯრბენში კი წელს პირველად დამარცხდა უელსელი კოლინ ჯექსონი. მას ამერიკელმა ჯეკ პირსმა და კანადელმა მარკ მაკკოიმ აჯობეს. მაკკოის, გეხსომებათ, მსოფლიო პირველობაზე არ უასპარეზია.

ამ ეტაპამდე 250 ათას დოლარად შეფასებული ოქროს ოცი თითოკილოგრამიანი ზოდის დაუნჯების შანსი რვა მძლეოსანსღა რჩებოდა. ერთმა მათგანმა — მერლინ ოტიმ ბერლინშიც მოიგო 100 მეტრზე რბენა და ახლა პარასკევს, 3 სექტემბერს ელის. ამ დღეს ბრიუსელში სერიის ბოლო, მეოთხე ეტაპი მოეწყობა. მასში შტუტგარტის 44 გამარჯვებულიდან 24 იასპარეზებს.



დასჯილი კრაბე გულს მოტოციკლზე ჯირითით იოხებს

რეზო ნემსაძე



# ევრიკა !

ამ გაზაფხულს, ინგლისის უდიდესი და უძველესი დაბრკოლებებიანი დოღი — „დიდი ეროვნული", რომელიც 1839 წლიდან ლივერპულში, ეინტრის იპოდრომზე იმართება, ფათერაკიანად დამთავრდა.

დოღის მომსახურე პერსონალის შეცდომის გამო მონაწილეთა უმრავლესობამ ვერ შეიტყო, რომ მეორედაც ნაადრევად გაიჭრა წინ, და დისტანცია — ოთხნახევარი მილი ბოლომდე გალია.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოგ განბილდებოდნენ მხედრები, მეტადრე კი გამარჯვებული ჯონ უაიტი, როცა შეიტყობდნენ, რომ სულ ტყუილად უქენებიათ თავ-თავიანთი ბედაურები.

„დიდი ეროვნულის" წესებში წერებულა, რომ განმეორებითი ფალსტარტის შემდეგ მხედრები თუ მაინც გამართავენ დოღს, შეჯიბრი გაუქმებულად მიიჩნევაო.

აღსანიშნავია, რომ ამ წესის გამოყენება წლევანდლამდე არასოდეს დასჭირვებიათ და ამყამინდელი ჟიურიც თავიდან ერთობ მწყრალად ყოფილა მის ცოდნაზე.

ასე იყო თუ ისე, 147-ე დოღი ჩაიშალა. პირშიჩალაგამოვლებული დარჩა უამრავი მაყურებელი.

მშრალზე დარჩნენ ბუკმეიკერებიც, ვინაიდან ფსონების დაბრუნება მოუწიათ. დანაკარგმა 75 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა.

იზარალა სახელმწიფომაც, რაკილა ტოტალიზატორის მოთამაშეთა მოგება ველარ დაბეგრა.

დოღის ჩაფლავებამ ჟოკეითა საკრებულოსაც მოსვენება დაუკარგა. მხედრებმა და ორგანიზატორებმა იმაზე დაიწყეს თავის მტვრევა, თუ სამომავლოდ როგორ აიცილონ მსგავსი კურიოზული სიტუაციის წარმოქმნა.

ინგლისელები კონსერვატორები არიან, სიახლეს ეჭვიანად უყურებენ და ახლაც უარი განაცხადეს, თანამედროვე ტექნიკა რომ ჩააბან სასტარტო პროცედურაში.

„დიდი ეროვნულის" მომწყობებმა განაცხადეს, მანქანა-დანადგარებს ზოგჯერ ადამიანი სჯობსო და დაადგინეს, რომ ამიერიდან დააწესონ მესტარტის თანამდებობა.

მესტარტე საგანგებოდ მისთვის გამოყოფილ ბაქანზე დადგება, თვალ-ყურს მიადევნებს მისგან ხუთი მეტრის დაშორებით სტარტზე მდგარი ცხენ-მხედრების ქცევას, მათ ყოველ აკრძალულ ქმედებას ჩაინიშნავს, ნაადრევი სტარტის დროს კი დოღს ალმის ქნევით შეაჩერებს.

ისე, ცოტა გასაკვირი კია, ესოდენ მარტივი სისტემა აქამდე რატომ არავის მოაფიქრდა.

## აქეთური, იქითური

ავსტრალიის მთავრობამ თამბაქოს წევის საწინააღმდეგო კამპანიის პროგრამით აკრძალა მეთამბაქოეთა მიერ სპორტის სპონსორობა და სპორტის მიერ თამბაქოს ნაწარმის რეკლამა. ამით შემოსავალი აკლდებოდა 1985 წლიდან ადელაიდაში დაფუძნებულ ფორმულა-1-ის ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებას. ორგანიზატორთა თხოვნით ხელისუფლებამ „გრან პრისთვის" ერთი წლით გააუქმა შეზღუდვა, რითაც სამხრეთი ავსტრალიის შტატის ბიუჯეტს რბოლის გარანტირებული შემოსავალი — 37 მილიონი ავსტრალიური დოლარი შეუნარჩუნა. ახლა ადელაიდელები გამონაკლისის სამომავლოდ განვრცობისთვისაც მუშაკობენ და იმედოვნებენ, რომ საერთაშორისო ფედერაციას ეტაპის გამართვის უფლებას 2000 წლის ჩათვლით დასტუჟებენ.

*

ჰამარში (ნორვეგია) დამთავრებულ ველოტრეკისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე რუსმა სპრინტერმა ქალმა გალინა ენიუხინამ ჰიტებში საუკეთესო დრო კი აჩვენა, მაგრამ ანაბოლიკების ხმარებაშიც ამხილეს. ენიუხინამ იხტიბარი არ გაიტეხა და ნახევარფინალში ვითომც იმიტომ არ იასპარეზა, რომ მუხლი სტკიოდა. არადა, რუსეთის დელეგაციას ეჭვიც არ შეპარვია თავისიანის დანაშაულში, რის გამოც განმეორებითი სინჯის აღება აღარ მოუთხოვია.

*

შრი-ლანკაზე პირველად სტუმრობს სამხრეთი აფრიკის მოკრიკეტეთა ნაკრები. წინა კვირაში ექს-რასისტებს მაღალმთიან ქალაქ კანდიში ერთდღიანი მატჩი უნდა გაემართათ მასპინძლებთან. კანდელებს მწარედ ახსოვდათ ივლისის ამბები, როცა ავდარმა მათს სტადიონზე მთლად ჩაშალა შრი-ლანკა — ინდოეთის ხუთდღიანი ტესტ-მატჩი. წვიმამ არც ამჯერად დაინდო კრიკეტზე გადარეული ადგილობრივი თემი და თუმც თამაში მთლად არ ჩაუშლია, მაგრამ მატჩი საგრძნობლად კი შეკვეცა, რის გამოც კრიკეტის ერთობ ორიგინალური წესების თანახმად იგი უშედეგოდ (და არა ფრედ!) დამთავრებულად ჩაითვალა.

*

ბოლო ხანებში სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში მასობრივი ტერორის ტალღა აზვირთდა. სიტუაცია ერთობ დაიძაბა ზულუთა საცხოვრისში ნატალის პროვინციაში, აგრეთვე ქვეყნის უდიდესი ქალაქის — იოჰანესბურგის შემოგარენში. ამან, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა მსოფლიო რაგბის მამები, რაკილა მსოფლიოს თასის მორიგი, მესამე გათამაშება 1995 წლის ივნისში სწორედ სამხრეთ აფრიკაში უნდა გაიმართოს. „მამები" უკვე რამდენჯერმე ეწვივნენ მშფოთვარე ქვეყანას, იქაური ყველა ჯურის პოლიტიკური ძალის სრული მხარდაჭერაც დაიბევს, მაგრამ იმას კი ვერაფრით მიაღწიეს, მასმედიამ მსოფლიო თასის სამხრეთ აფრიკაში გამართვის საეჭვო პერსპექტივის საზოგადოებისათვის დროდადრო შეხსენებას რომ თავი ანებოს.

*

მინსკის „ნაროდნაია გაზეტას", მოსკოვის „სოვეტსკი სპორტისა" და „იტარტასს-სპორტის" ცნობით, საგამოძიებლო იზოლატორში ჩაუსვამთ ცნობილი კარატისტი და კიკბოქსიორი ვლადიმირ ზადირანი, რომელიც გამოძალვასა და რეკეტში ყოფილა ეჭვმიტანილი. როგორც ვარაუდობენ, მრავალი სხვა სპორტსმენის დარად, ზადირანიც ხარკს კრეფდა ბოლო დროს გამდიდრებული კერძო დაწესებულებებისაგან.

*

უმაგალითო რამ მოხდა ინგლისის ფეხბურთში. ამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ ალმასკომში შეიყვანა 34 წლის ჯული ემსლი, რომელიც მეორე ჯგუფის კლუბ „ბრაიტონ ალბიონის" წარმომადგენელი ყოფილა. ემსლი პირველი ქალია, ვინც ალმასკომში 87 ჯენტლმენის მხარდამხარ იღვაწებს. აქამდე ქალები ინგლისურ ფეხბურთში ოდენ მდივნებადა და მოლარეებად მუშაობდნენ.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერაია
სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)